პროლეტარიელნო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

ORGAN CENTRALNOGO i TBILISSKOGO KOMITETOV KP (b) GRUZII i SOVETOV DEPUTATOV TRUDYAŠČIHSYA GRUZINSKOJ SSR

ხუთშაბათი 18 მაისი 1939 წ.

№ 112 (5512)

ფასი 10 კაპ.

F75/2 ✓13915

დღეს თბილისში, ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის მოედანზე, შესდგება ორდენოსან საქართველოს ფიზკულტურელთა გრანდიოზული პარადი. 30 ათასი საუკეთესო ფიზკულტურელი გვიჩვენებს თავის მზადყოფნას შრომისა და თავდაცვისათვის, თავის მაღალ სპორტულ ტექნიკას, ძლიერებასა და მამაცობას ხალხისა და სამშობლოს სასახელოდ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერი ახალგაზრდობის ზეიმი

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი დღეს მიიღებს აყვავებული სოჭაბუკის, სილამაზისა და სიძლიერის პარადს.

ამხანაგ ლ. ბერიას სახელობის ვრცელ მოედანზე დღეს გაივლიან საქართველოს კუნთებმაგარი ადამიანები, რომლებიც გვიჩვენებენ ახალ მიღწევებს სპორტულ-ტექნიკური მუშაობის დარგში, თავის მზადყოფნას შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის. ეს პარადი იქნება მთელი ჩვენი ბედნიერი სოჭაბუკის ბრწყინვალე ზეიმი.

მზიურ საქართველოს ფიზკულტურელთა მრავალათასიანი არმია დღეს მოადგნს ხალხთა საყვარელი ბელადისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის მკაფიო დემონსტრაციას. გამარჯვების ჰიმნით, შუბრი რიგებით, მხიარული სიმღერებით გაივლიან თბილისის ქუჩებში სოციალისტური სამშობლოს ახალგაზრდა პატრიოტთა ლეგიონები: ორდენოსანი საქართველოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები და ძალოსნები, მთამსვლელები და სახელოვანი ფეხბურთელები, ავტოსპორტის მოყვარულები და ცხენოსნები.

ჩვენს ქვეყანაში სპორტი გახდა უაღრესად მასობრივი და პოპულარული. საბჭოთა ახალგაზრდობის მილიონები მიისწრაფვიან სასპორტო მოედნებისა, დარბაზებისა და სტადიონებისაკენ. ფიზიკური კულტურა შეიჭრა და დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

თვალსაჩინოდ განვითარდა იგი ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია მოფენილია უამრავი სასპორტო ბაზებით და ნაგებობებით, აშენდა მთელი რიგი ახალი სტადიონები, წყლის სადგურები, მოედნები და დარბაზები. კავკასიის მაღალ მთებზე, ჩვენს მდინარეებში, შავი ზღვის მზიან სანაპიროებზე, სასპორტო დარბაზებში და მოედნებზე იზრდება და იჭედება სოციალიზმი აღსავსე მკერდმაგარი ადამიანების სტალინური თაობა. ფიზკულტურულ ახალგაზრდობაში იზრდება და ვითარდება სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე პატრიოტიზმის გრძნობა. ხალხთა საყვარელი ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულით, სოციალისტური სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით არიან გამსჭვალულნი საბჭოთა ფიზკულტურელების მილიონიანი ლეგიონები.

ფიზკულტურულ ახალგაზრდობას კარგად ახსოვს ბელადის სიტყვები პარტიის XVI ყრილობაზე იმის შესახებ, რომ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ისეთი ვითარება, რომელიც ფართოდ იძლევა საშუალებას „აღვზარდოთ ახალი თაობა ჯანსაღი და სიცოცხლით აღსავსე მუშებისა, რომლებსაც შეეძლებათ სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ ძლიერება საბჭოთა ქვეყნისა და მკერდით დაიცვან იგი მტრების თავდასხმებისაგან“.

საბჭოთა ფიზკულტურელები, ანვითარებენ რა სპორტის მთელ რიგ ისეთ სახეობებს, რომელთაც უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ, ერთი წუთითაც არ ივიწყებენ, რომ ჩვენი ქვეყანა იმყოფება კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში, რომ „მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ინებამ ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს...“ (ი. სტალინი).

საბჭოთა გმირი ხალხის კეთილშობილურ თვისებებს ისისხლხორცებენ ათეული მილიონობით მამაცი, გაბედული და სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდა ადამიანები. ამ კეთილშობილურ თვისებებს ზრდის და ნერგავს საბჭოთა ახალგაზრდობაში ჩვენი მშობლიური ბელადი დიდი სტალინი. ბელადის ეს მშობლიური მზრუნველობა აღაგზნებს ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპორტსმენებს მსოფლიო რეკორდებისათვის, სპორტული ოსტატობის დაუფლებისათვის, ყოველგვარი სიძნელეების გადალახვისათვის.

ორდენოსანი საქართველოს ფიზკულტურელთა მრავალათასიანი არმია, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში მზრუნველობდა და უდიდეს დახმარებას უწევდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლ. პ. ბერია**—უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისა. ის მხნედ და გაბედულად იბრძვის შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსებისათვის, პირველი ადგილებისათვის სსრ კავშირში.

ფიზკულტურელთა ბრწყინვალე ზეიმის დღეს ორდენოსანი საქართველოს სპორტსმენები თავის პირველ მხურვალე სალამს უგზავნიან საბჭოთა ფიზკულტურელების უერთგულეს მეგობარს, ხალხთა საყვარელ ბელადს—მშობლიურ **სტალინს.**

ბოლშევიკური სალამი საქართველოს ფიზკულტურელებს, ჩვენი დიადი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტებს!

თბილისის უმაღლესი სკოლების მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება

გუშინ, 17 მაისს, შინსახკომის ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა თბილისის უმაღლესი სკოლების მუშაკთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი ამხანაგ **სტალინის** მიერ უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში 1938 წლის 17 მაისს წარმოთქმული სიტყვის წლისთავისადმი.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძემ.**

უმაღლესი სკოლების მუშაკთა საერთო - საქალაქო კრებამ ხანგრძლივი, მქუხარე ტაშის გრიალით საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი **სტალინი** და ამხანაგები **მოლოტოვი, კალინინი, ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, ჟდანოვი, ანდრეევი, მიკოიანი, ხრუშჩოვი, ბერია, შვერნიკი, ხოზე დიასი** და **ტელმანი.**

კრების საქმიან პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ი. თავაძე, ე. ჩერქეზია, გ. კიკნაძე, მ. ბურჭულაძე, დ. ყიფშიძე, ვ. იმედაძე, პროფ. ა. მაჭავარიანი, ა. ბოჯგუა, პროფ. ნ. ქეცხოველი, შ. ჭიჭინაძე, პროფ. კ. ზავრიევი, პროფ. ალ. ჯანელიძე, პროფ. ვ. კუპრაძე, პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ა. ხარაძე და სხვ.

მოხსენებით უმაღლესი სასწავლებლების მუშაობის შესახებ გამოვიდა სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საკავშირო კომიტეტის წევრი ამხ. **ს. პლოტკინი.**

ამხ. პლოტკინმა ბელადის სიტყვის წლისთავთან დაკავშირებით შეაჯამა საბჭოთა კავშირის უმაღლესი სკოლების მუშაობა. მომხსენებელმა მკაფიო მაგალითებით დაასურათა ის უდიდესი წარმატებანი, რაც ჩვენმა უმაღლესმა სკოლებმა მოიპოვეს დიდი სტალინის მითითებათა განხორციელებით.

მოხსენების გარშემო სიტყვებით გამოვიდნენ პროფ. ალ. მაჭავარიანი, პროფ. კ. ზავრიევი, პროფ. ა. ჯანელიძე და სხვ.

თბილისის უმაღლესი სკოლების მუშაკთა საერთო - საქალაქო კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა საყვარელ ბელადს, მთელი მოწინავე, პროგრესიული კაცობრიობის უდიდეს გენიოსს ამხანაგ **სტალინს.** საბჭოთა მთავრობის სახელოვან მეთაურს ამხანაგ **ვ. მოლოტოვს** და საბჭოთა დაზვერვის მებრძოლ ხელმძღვანელს, შინაგან საქმეთა სტალინურ სახკომს ამხანაგ **ლ. ბერიას.**

უმაღლესი სკოლის მუშაობის ღირსშესანიშნავი ნელი

ერთი წლის წინათ, 17 მაისს, კრემლის დიდ სასახლეში მოხდა უმაღლესი სკოლის მუშაკთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიღება, რომელიც მიაწყო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ. ამხანაგ სტალინის სიტყვა ამ მიღებაზე და ამხანაგ მოლოტოვის გამოსვლამ თათბირზე აღაფრთოვანა უმაღლესი სკოლის მუშაკები და სტუდენტობა. ამ წლის განმავლობაში საბჭოთა უმაღლესმა სასწავლებლებმა ახალ წარმატებებს მიაღწიეს.

ამჟამად 710 საბჭოთა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 600 ათასი სტუდენტი. ეს ხუთჯერ მეტია, ვიდრე ძველს რუსეთში იყო, ვიდრე ერთად აღებულ 23 კაპიტალისტურ ქვეყანაშია. 1938 წლის განმავლობაში საბჭოთა უმაღლესმა **სკოლამ** გამოუშვა 93.500 ახალგაზრდა სპეციალისტი. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ეხლდება 60.295 სპეციალისტის მორიგი გამოშვება.

ახალ სახელმძღვანელოთა შექმნის შესახებ ამხანაგ მოლოტოვის მითითების განსახორციელებლად ბევრმა მეცნიერმა მუშაკმა ენტუზიაზმით იკისრა ვალდებულება მისცეს სტუდენტებს საჭირო წიგნები. ეს ვალდებულება შესრულებულია. უმაღლესმა სკოლამ მიიღო 458 ახალი სახელმძღვანელო.

გაიშალა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. გასულ წელს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლები შეივსო პროფესორთა და მეცნიერ მუშაკთა ახალი კადრებით. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ სამეცნიერო ხარისხი და სახელწოდება მიანიჭა 6.000-ზე მეტ კაცს. მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის გმირები, ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერები, ცნობილი მსახიობები, მუსიკოსები, რეჟისორები, ძხატვრები.

გაფელილი წლის შესანიშნავ შედეგს წარმოადგენს აკადემიური წარმატებულობის საგრძნობლად ამაღლება. (საკდესი).

პროფორგანოების—პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, საოლქო, სამხარეო და ცენტრალური კომიტეტების არჩევნების შესახებ

პროფესიულ კავშირთა სრულიად - საკავშირო ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის დადგენილება, მიღებული 1939 წლის 28 აპრილს ამხ. ნ ი კ ო ლ ა ე ვ ა ს მოხსენების გამო

1. რწმუნებათა ვადების გასვლასთან დაკავშირებით, ჩატარდეს პროფკავშირული ორგანოების: პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტების, აგრეთვე საოლქო, სამხარეო და ცენტრალური კომიტეტების ანგარიშგება და არჩევნები.

2. პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები უნდა ჩატარდეს ისე, რომ მოხდეს პროფკავშირთა წევრების ფართო მასების მობილიზაცია პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო (ცენტრალური საბჭოს VIII პლენუმის მიერ „საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით პროფკავშირთა მუშაობის შესახებ“ მიღებული დადგენილების შესასრულებლად.

3. დაევალოს პროფკავშირულ ორგანოებს გაშალონ პროფკავშირთა საანგარიშო - საარჩევნო კრებებსა, კონფერენციებსა და ყრილობებზე ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, გამოამჟღავნონ და აღმოფხვრან პროფკავშირული ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, დააწინაურონ პროფკავშირული ორგანოების შემადგენლობაში მუშათა კლასისა და საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმის ერთგულნი, რომელთაც შესწევთ უნარი უზრუნველჰყონ მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასების დარაზმვა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

4. საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი და საამქრო კომიტეტებისა და პროფჯგუფორგების ანგარიშგება და არჩევნები ჩატარდეს მაისივლისში.

დაევალოს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმს პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად დააწესოს პროფკავშირთა რაიონული, საოლქო, სამხარეო და ცენტრალური კომიტეტების ანგარიშგებისა და არჩევნების ჩატარების ვადები.

5. დაევალოს პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს გეოლოგიურ-საძიებელი სამუშაოების მუშათა, მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების მუშათა, მტს-ების მუშათა, ყაზახეთის სსრ და შუა აზიის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების მუშათა პროფკავშირებისა და ზოგიერთი სხვა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად დააწესოს ძირეული პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგებისა და არჩევნების ვადები წარმოების თავისებურებებისა და სამუშაოთა სეზონურობის მიხედვით.

6. წინადადება მიეცეს გაზეთ „ტრუდის“ რედაქციას, საფაბრიკო-საქარხნო მრავალტირაჟიან გაზეთებს და პროფკავშირული პრესის ყველა ორგანოს ფართოდ გააშუქონ პროფკავშირული ორგანოების ანგარიშგება და არჩევნები. (საკდესი).

ხვალ, 19 მაისს, სრულდება 35 წლისთავი ვ. ი. ლენინის განთქმული წიგნის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ გამოსვლიდან.

„ამ წიგნის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიცვა პარტიულობა წარეობანის წინააღმდეგ და პარტია დეზორგანიზატორების წინააღმდეგ, გაანადგურა მენშევიკური ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში და ჩაუყარა ორგანიზაციული საფუძვლები ბოლშევიკურ პარტიას.

მაგრამ ამით არ ამოიწურება ამ წიგნის მნიშვნელობა. მისი ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა მოძღვრება პარტიაზე, რომელიც პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე, რომელიც პროლეტარიატის ხელში ძირითად იარაღზე, უროდ ლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლაში“. („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია“, გვ. 62).

მოსკოვის საერთო-საქალაქო თათბირი პროპაგანდის საკითხზე

16 მაისს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტში გაიხსნა მოსკოვის საერთო საქალაქო თათბირი პროპაგანდის საკითხზე. თათბირს ესწრება 900 კაცი — რაიონული და პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, პარტიული კაბინეტების გამგეები, ლექტორები, პროპაგანდისტები, კონსულტანტები, მეცნიერი მუშაკები, ინსტიტუტთა მასწავლებლები, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები.

მოხსენებით იმაზე, თუ როგორ სრულდება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. გრაკინი. (საკდესი).

მოსკოვი ემზადება ჯარში გაწვევისათვის

დედაქალაქის სამხედრო კომისარიატები, საწარმოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაცხოველებით ემზადებიან 1918 წლის მეორე ნახევარში და 1919 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მორიგი გაწვევისათვის მუშურ-გლეხური წითელი არმიის და საბჭედრო-საზღვაო ფლოტის რიგებში.

მოსკოვი წითელ არმიასა და ფლოტში ჰგზავნის საუცხოო, ფიზიკურად ჯანსაღ და წერა-კითხვის მცოდნე შვილებს. დედაქალაქის ახალწვეულთა მესამედი ნაწილი კომკავშირელებია. საშუალო და უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ახალწვეულთა 20 პროცენტს. ახალგაზრდებს შორის არ არის არცერთი წერა-კითხვის უცოდინარი.

წითელმა დედაქალაქმა იკისრა ვალდებულება წელს არმიაში ახალწვეულთა შორის გაჰგზავნოს 60 პროც. ვორონეჟელი მსროლელი, 75 პროც. ნიშნოსანი „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ და 90 პროც. ნიშნოსანი „სქთ“ და „მსთ“.

მოსკოვისა და ლენინგრადის სამხედრო კომისარიატების სოციალისტური შეჯიბრება ხელს უწყობს ვაწვევისათვის წარმატებით მზადებას. (საკდესი).

ყირგიზული ხელოვნების დეკადის მონაწილენი მოსკოვში

დედაქალაქის თეატრალური და მუსიკალური საზოგადოებრიობა 16 მაისს გულთბილად შეხვდა ყირგიზული ხელოვნების დეკადის მონაწილეებს, რომელნიც ფრუნზედან მოსკოვს ჩამოვიდნენ. ყაზანის ვაგზალზე სპეციალური მატარებლის მოსვლის მომენტისათვის თავი მოიყარეს თეატრებისა და მუსიკალური სასწავლებლების დელეგაციებმა, სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლებმა, მოსკოვის გაზეთების კორესპონდენტებმა. შემხვდურთა შორის არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი რ. მ. გლიერი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. კ. იაკოვლევი, რუსეთის სფსრ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი-ქალი ირმა იაუნზემი, კომპოზიტორი ვანო მურადელი და სხვ.

...ჯერ კიდევ შორიდან მოსჩანს ორთქლმავალზე სიტყვები — „სალამი წითელ დედაქალაქს“, დაწერილი რუსულ და ყირგიზულ ენაზე. გადის რამდენიმე წუთი, და მატარებელი ჩერდება. ვაგონებიდან გამოდიან ყირგიზეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრისა და ყირგიზეთის სახელმწიფო ფილარმონიის არტისტები, სახალხო მომღერლები და მუსიკოსები. მათ ასობით ადამიანები ყვავილთა თაიგულებით მიესალმებიან. გაისმის მისალმებათა შეძახილები. დეკადის მონაწილეთა შორის, რომელნიც დედაქალაქში ჩამოვიდნენ, არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი აბდილას მალდიბაევი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, აკინი ალიმკულ უსენბაევი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, აკინი კალიკ აკიევი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები: მურატალი ჟურენკეევი, კარამოლდო ოროზოვი, ატაი ოგონბაევი; — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები: ანვარ კუტუბაევა, საირა კიიზბაევა, აშირალი ბოტალიევი, კასიმალი ეშიმბეკოვი და სხვ.

ვაგზალზე დეკადის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობის აღმასრულებელი ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო.

დეკადის მონაწილეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ აბდილას მალდიბაევმა.

მიტინგი დამთავრდა. ყირგიზეთის ხელოვნების მუშაკები გარეთ გამოდიან. აქ მათ ხვდება თავდაცვის სახალხო კომისარიატის ორკესტრი. იგი ასრულებს მარშს პირველი ყირგიზული ოპერიდან „ჯირუკეი“, რომელიც შეტანილია დეკადის პროგრამაში. (საკდესი).

ოლოვიანის კონცხზე გაიხსნა პოლარული სადგური

გაბედული გადასვლა ო.რ სრუტეზე

ოლოვიანის კონცხიდან (ჩრდილოეთის მიწა) მიღებულია რადიოგრამა, იუწყებიან, რომ იქ გაიხსნა პოლარული სადგური, რომელიც ორი წლის განმავლობაში არ მოქმედებდა. სადგურის ახალი მოზამთრეები: ჰიდროლოგი ამხ. ზოლოტოვი, რადისტი ამხ. უგოლნოვი და მექანიკოსი ამხ. უსაჩევი მოვიდნენ ჩელუსკინის კონცხიდან, საიდანაც ისინი აპრილის დამლევს გამოვიდნენ.

გულადმა ადამიანებმა გადასჭრეს ვილკიცკის სრუტე, კუნძული ბოლშევიკი და შოკალსკის სრუტე. ისინი გზაში კოპიჭს ხვდებოდნენ და ამიტომ ხშირად გვერდს უხვევდნენ ძირითად მიმართულებას 30 კილომეტრზე უფრო მეტი მანძილით. გადასვლა მოხდა მძიმე პირობებში, ქარბუქსა და ყინვაში.

აღდგენილ სადგურში უკვე მოწყობილია რადიო და ძალოვანი მეურნეობა. დაწყებულია მეტეოროლოგიური და ზღვისპირა ჰიდროლოგიური დაკვირვებანი. ოლოვიანის კონცხის პოლარული სადგური საუცხოო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის ჭაბავარმა სამმართველომ ამხ. ზოლოტოვი, უგოლნი და უსაჩევი „საპატიო პოლარელის“ ნიშნით დაჯილდოვა.

○

ჩელუსკინის კონცხიდან იუწყებიან, რომ იქ ძაღლებშებმული ბოხილებით დაბრუნდნენ კაიურკინი ამხ. ჟურავლიევი და ჟდანოვი, რომლებმაც ოლოვიანის კონცხის პოლარულ სადგურს სურსათი მიაწოდეს. (საკდესი).

კრედიტები სოფლის მოსახლეობას

სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკი აწარმოებს სოფლის მოსახლეობის ფართო ინდივიდუალურ დაკრედიტებას. კრედიტები ეძლევათ კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის მუშებს, მასწავლებლებსა და სოფლის სხვა მცხოვრებთ პირუტყვის შესაძენად, საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად, საბინაო მშენებლობისათვის და სხვ.

წელს ხბოებისა და ცხვრების სასყიდლად კოლმეურნეთა პირადი სარგებლობისთვის, გახსნილია კრედიტი 15 მილიონი მანეთის რაოდენობით, კოლმეურნეთა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის 8 მილიონი მანეთი. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების და სხვა საწარმოთა მუშებს საბინაო მშენებლობისათვის ეძლევათ 29,5 მილიონი მანეთი. სოფლის სკოლების მასწავლებლებს გაეხსნათ კრედიტი 8 მილიონი მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა, სოფლის მასწავლებლებს კრედიტები მიეცემათ აგრეთვე ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში: უკრაინის სს რესპუბლიკაში — 3 მილიონი მანეთი, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 1 მილიონი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — 300 ათასი მანეთი. (საკდესი).

სომხური ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო

ერევანი, 16 მაისი (საკდესი). სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სომხეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რესპუბლიკურ ფილიალს დაავალეს შეადგინოს სომხური ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელოს იმ ანგარიშით ადგენენ, რომ მოსწავლეებს მისცენ ნათელი წარმოდგენა მშობლიურ ლიტერატურაზე, დაწყებული უძველესი ხანით და გათავებული ახლანდელი ხანით. სახელმძღვანელოში ნაჩვენები იქნება რუსი კლასიკოსების უდიდესი გავლენა მე-19 საუკუნის სომხურ ლიტერატურაზე, ფართოდ იქნება ასახული საბჭოთა სომხეთის მწერლების შემოქმედება, საბჭოთა ფოლკლორი.

უკანასკნელი ცნობები

გერმანიის ჯარის გადაჯგუფება ბელგიის საზღვართან

პარიზი, 17 მაისი (საკდესი). ბელგიის გაზეთი „სუარი“ აქვეყნებს თავისი ვერვიელი კორესპონდენტის დეპეშას ბელგიის საზღვართან გერმანიის ჯარის გადაჯგუფების შესახებ. დეპეშაში ნათქვამია: „მიღებულია ცნობები, რომ 16 მაისს საზღვრის მთელი ხაზის გასწვრივ გერმანიის ჯარის დიდი გადაჯგუფება ხდებოდა. ჯერ კიდევ არ არის მიღებული ზუსტი ცნობები იმ ერთეულთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც პოზიციები დაიკავეს საზღვრის გასწვრივ. მაგრამ ამ ჯარის კონტინგენტი, რომელიც მოტორიზებული ნაწილებისა და ქვეითი ჯარისაგან შესდგება, მეტად დიდია. ჯარის გადაჯგუფებას ადგილი ჰქონდა მთელ რაიონში აახენდან მონჟუამდე და იგი გრძელდება აგრეთვე ლუქსემბურგისაკენ“.

საბანგებო რწმუნებათა მინიჭება პოლონეთის პრეზიდენტისათვის

ვარშავა, 17 მაისი (საკდესი). პოლონეთის „დნევნიკ უზაკონენიას“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულია კანონი იმის შესახებ, რომ პოლონეთის პრეზიდენტს მიენიჭოს საგანგებო რწმუნებანი ეკონომიური და ფინანსიური საკითხების მოგვარების დარგში, აგრეთვე ქვეყნის თავდაცვის დარგში. კანონი ძალაში შევიდა ამა წლის 16 მაისიდან.

ჭიათურელ სტახანოველთა შეკრება

ჭიათურა (საკ. კორ.). 16 მაისს ჭიათურის მუშათა კლუბში შესდგა მარგანეცის წარმოების სტახანოველთა შეკრება, რომელსაც სამასამდე კაცი დაესწრო. შეკრებამ მოისმინა მარგანტრესტის მმართველის მოადგილის ამხ. შეყლაშვილის მოხსენება გეგმების შესრულების შესახებ.

პირველ კვარტალში გეგმა შესრულებულ იქნა 76 პროცენტით. აპრილის და მაისის 15 დღის გეგმა შესრულებულია 89 პროცენტით. ტრესტმა ოთხი თვის განმავლობაში ქვეყანას დააკლო 110 ათასი ტონა მარგანეცი.

შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები: ამხ. მირიტაძე (კაგანოვიჩის სახ. მაღარო), ჩაჩანიძე (ლენინის სახ. მაღარო), ძინძიბაძე (სტალინის სახ. მაღარო) და სხვები, სულ 12 ამხანაგი. სტახანოველები აღნიშნავდნენ, რომ მათ მუშაობა უხდებოდათ არასრული დატვირთვით, მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა 70 პროცენტით შესრულდა, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ მუშებს არ ეხმარებიან.

პირველ კვარტალში გეგმებს წარმატებით ასრულებდნენ ლენინის, ვოროშილოვის და დიმიტროვის სახელობის მაღაროები. ჩამორჩნენ სტალინის, კაგანოვიჩის, ბერიას და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროები.

პირველ კვარტალში წარმატებით მუშაობისათვის გარდამავალი დროშა გადაეცა დიმიტროვის სახ. მაღაროს (დირექტორი ამხ. ჯაფარიძე).

სტახანოველთა შეკრებამ მიიღო ლენინისძიებანი ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

ლ. ლოლაძე

2.510.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი

15 მაისისათვის ტრესტ „საქართველოს ჩაის“ 34 ჩაის ფაბრიკას მიღებული აქვს 2.510.800 კგრ. ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც მაისის გეგმის 26,1 პროც. შეადგენს, ხოლო წლიურისას—5,8 პროც. შარშან 15 მაისისათვის ჩაის ფაბრიკებს მიღებული ჰქონდათ 1.069.000 კგრ. ფოთოლი. მაისის გეგმის შესრულებაში წინ მიდიან: წულუკიძის ფაბრიკა, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს 65,3 პროც., ჩოხატაურისა — 48,9 პროც. და დიდიჭყონის პირველი ფაბრიკა—47,5 პროც.

აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი

წულუკიძე (საკ. კორ.) წულუკიძის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ელიტი ლაითაძემ მიიღო აბრეშუმის პარკის ახალი მოსავალი. ამხ. ლაითაძემ 8 გრამი აბრეშუმის თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 34,5 კილოგრამი პარკი. მიიღო პრემია — დანამატი 672 მანეთი. კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა უგულავამ 10 გრამი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 37 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. პრემია — დანამატი მიიღო 676 მანეთი.

ქისტაურელ მეაბრეშუმეთა ახალი წარმატება

თელავი. ქისტაურის კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ სტახანოველი მეაბრეშუმის, სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის კანდიდატის, ოსანა აივაზაშვილის ხელმძღვანელობით წელს პირველად მოეწყო აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვება.

კოლმეურნეობამ განსაზოგადოებული გამოკვებისათვის 29 აპრილს მიიღო 3,5 კილოფი აბრეშუმის ჭია. კოლმეურნე მეაბრეშუმეებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ოსანა აივაზაშვილი და ანიჩკა კვიცაშვილი, ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს. 14 მაისს, ჭიის გამოკვების მეთექვსმეტე დღეს, მათ პარკის პირველი ნიშანი მიიღეს (შარშან პირველი ნიშანი მიიღეს მეთვრამეტე დღეს). ჭიამ დაიწყო პარკის მასობრივი ახვევა.

ქისტაურელი მეაბრეშუმეები პირობას იძლევიან, რომ თვითეული კოლოფიდან სახელმწიფოს ჩააბარებენ 80 კილოგრამზე მეტ მაღალხარისხოვან პარკს.

აბრეშუმის პარკის მოსავალს საუკეთესო პირი უჩანს.

კ. აფხაზავა

თელავის რაიონმა თესვა დაამთავრა

თელავი (საკ. კორ.). რაიონმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა 101,5 პროცენტით შეასრულა. საგაზაფხულო კულტურები დათესილია 6.941 ჰექტარზე. თავთავიანი კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია 103,7 პროცენტით. რაიონის 126 კოლმეურნეობიდან 67-მა თესვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა.

რაიონის კოლმეურნეობები შეუდგნენ სიმინდის ნათესის თოხნას.

ჩხარის რაიონმა შეასრულა სიმინდის თესვის გეგმა

ჩხარი (საკ. კორ.). 10 მაისისათვის ჩხარის რაიონის კოლმეურნეობებმა მთლიანად შეასრულეს სიმინდის თესვის გეგმა. დათესილია 7.215 ჰექტარი. სიმინდის თესვა გრძელდება.

ს. მუმლაძე

ლენინის წიგნის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ — გამოსვლიდან 35 წლისთავისათვის

ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები

ახალი ტიპის პარტია

ლენინის ვანთქმული წიგნის — „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“,— ისტორიული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ „მასში ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა **მოძღვრება პარტიაზე,** როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ **ორგანიზაციაზე,** როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითად **იარაღზე,** უერომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლაში“. [1])

იდგა რა შემოქმედებითი მარქსიზმის ურყევ, გრანიტულ საფუძველზე, ლენინმა დაამუშავა გენიალური გეგმა ახალი ტიპის პარტიის შექმნისა. ჰქმნიდა რა ახალი ტიპის პარტიას, ლენინი გამოდიოდა მარქსისა და ენგელსის მონახაზებიდან პარტიის შესახებ.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს საზოგადოების განვითარების კანონი, მეცნიერული წინდახედულებით დაამტკიცეს კაპიტალიზმის დაღუპვის აუცილებლობა და დასახეს პროლეტარიატის მონობისა და ექსპლოატაციისაგან განთავისუფლების გზები, მარქსმა და ენგელსმა გამომუშავეს ძირითადი პრინციპი პროლეტარიატის პარტიისა, პარტიისა, რომლის ხელმძღვანელობით უნდა მოხდეს მშრომელთა ემანსიპაცია. მარქსი და ენგელსი დაუღალავად მუშაობდნენ პროლეტარიატის რევოლუციური პარტიის შექმნაზე. მათი ენერგიული მუშაობა დაგვირგვინდა 1864 წელს პირველი ინტერნაციონალის დაარსებით, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის განვითარებასა და ხელმძღვანელობაში.

იმავე ჩანაბში კ. მარქსის მიერ დაწერილ პირველი ინტერნაციონალის დამფუძნებელ მანიფესტსა და დროებითს წესდებაში ხაზგასმული იყო პროლეტარიატის ორგანიზებულობის კოლოსალური მნიშვნელობა, მისი შემპიზიროება კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიის ხელმძღვანელობით. კ. მარქსი პირველი ინტერნაციონალის ზემოაღნიშნულ წესდებაში სწერდა:

„მუშათა მოძრაობის წარმატება ყოველ ქვეყანაში შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ კავშირებით და მათი გაერთიანებებით“...

მარქსი და ენგელსი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ მუშათა კლასის ორგანიზებას. მხოლოდ მის ორგანიზებასა და ერთობას, მხოლოდ პარტიას, რომელიც ხელმძღვანელობს მშრომელთა ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ, შეუძლია უზრუნველჰყოს გამარჯვება. პირველი ინტერნაციონალი, როგორც ეს განაცხადა მარქსის საფლავზე მისმა საუკეთესო და ერთგულმა მეგობარმა ფ. ენგელსმა, წარმოადგენდა გვირგვინს მთელი იმ ტიტანური მუშაობისა, რომელსაც ეწეოდა კ. მარქსი როგორც მებრძოლი, ბელადი და მოაზროვნე.

მაგრამ მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს მხოლოდ ძირითადი მონახაზები რევოლუციური პროლეტარიატის პარტიის შესახებ. მარქსისა და ენგელსის სიკვდილის შემდეგ, ყიოლა ჯგუფის ოპორტუნისტებმა დაიწყეს მარქსიზმის უმაგალითო დაგაჟგონარი დამახინჯება, მისი შერყვნა. ლენინმა და სტალინმა საერთაშორისო ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორე ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლაში აღადგინეს და განავითარეს ის ორგანიზაციული იდეები და პრინციპები პროლეტარიატის პარტიისა, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს მარქსმა და ენგელსმა.

ლენინმა და სტალინმა შემოქმედებითი მარქსიზმის საფუძველზე დგომით შეჰქმნეს და გამოსჭედეს ახალი ტიპის პარტია, პარტია ბოლშევიკებისა. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ ის ახალი, რომელიც მოგვცა ლენინმა პარტიის შესახებ, მდგომარეობს შემდეგში:

„ა) პარტია არის პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა პროლეტარიატის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით (პროფკავშირები, კოოპერაცია, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია), რომელთა მუშაობა პარტიამ უნდა განაზოგადოს და წარმართოს; ბ) პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება შეიძლება მხოლოდ პარტიის, როგორც ამ დიქტატურის წარმმართავი ძალის საშუალებით; გ) პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება სრული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ხელმძღვანელობს ერთი პარტია, კომუნისტების პარტია, რომელიც ამ ხელმძღვანელობას არ უნაწილებს და არც უნდა უნაწილებდეს სხვა პარტიებს; დ) პარტიაში რკინისებური დისციპლინის უქონლად შეუძლებელია პროლეტარიატის დიქტატურის ამოცანების განხორციელება ექსპლოატატორების დათრგუნვის მხრივ და კლასობრივი საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნის მხრივ“[2]).

ლენინმა და სტალინმა, განავითარეს რა მარქსიზმი ახალ პირობებთან შეფარდებით, შეჰქმნეს მოძღვრება პარტიის შესახებ, როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე.

ლენინმა თავის უკვდავ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ გენიალურად დაამტკიცა, რომ მარქსისტული პარტია არის მუშათა კლასის მოწინავე, შეგნებული რაზმი. ლენინი ასწავლიდა, რომ პარტია არის მუშათა კლასის არა მარტო მოწინავე, შეგნებული რაზმი, არამედ ამასთან ერთად მუშათა კლასის ორგანიზებული რაზმიც, რომელსაც აქვს თავისი დისციპლინა, მისი წევრებისათვის სავალდებულო. ლენინმა რუსეთში, ხოლო სტალინმა ამიერ-კავკასიაში ქვაქვაზე არ დასტოვეს მენშევიკური „დებულებებიდან“, რომლებიც ჭაქადაგებდნენ კუდში მაჩანჩალობას, სტიქიურობას, ორგანიზაციულ ანარქიას.

ლენინმა თავის წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, ყოველი ჯგუფის ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა ორგანიზაციულ საკითხებში აიყვანა პრინციპულ-თეორიულ სიმაღლეზე. ისინი, ეს ოპორტუნისტები, დეზორგანიზატორები,

[1]) საკ. კ. პ. (ბ) ისტორია გვ. 62.

[2]) **ი. სტალინი**—„ლენინიზმის საკითხები“—გვ. 209.

უძვირფასესი წიგნი

მილიონობით ადამიანები სწავლობენ ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას. ისტორია გახდა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების საყვარელი სგანი. პარტიული და სამეურნეო კადრები იარაღდებიან უძლეველი თეორიით —მარქსიზმ-ლენინიზმით. ისტორიის შესანშნავი სახელმძღვანელო, რომელიც თვითეული ბოლშევიკის მაგიდის წიგნია, არა მარტო ეხმარება, არამედ საშუალებას აძლევს მათ დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, შეიარაღდნენ ამ მეცნიერებით.

სახელმძღვანელოს გამოშვების დღიდანვე დავიწყე მისი შესწავლა. ვკითხულობ აუცილებელ დამხმარე ლიტერატურას — პირველწყაროებს. მეორე თავის შესწავლისას, ჯულდასმით წავიკითხე ლენინის წრომა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“. ამ წიგნმა განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ჩემზე. ასე ღრმად, ასე საფუძვლიანად პირველად გავიგე პროლეტარიატის ორგანიზაციული ერთიანობის მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, ლენინს თავის განთქმულ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ განვითარებული აქვს ძირითადი ორგანიზაციული დებულებანი, რომლებიც შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული საფუძვლები გახდა.

წიგნში მოცემულია მენშევიკების ოპორტუნიზმის ვამანადგურებელი კრიტიკა უმთავრესად ორგანიზაციულ საკითხებში. მენშევიკები პარტიის II ყრილობის შემდეგ, როგორც ვიცით, ძალღონეს არ იშურებდნენ რათა ჩაეშალათ II ყრილობის გადაწყვეტილებანი. ისინი „ეწეოდნენ პარტიას უკან, — როგორც საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი მოგვითხრობს, — პარტიის II ყრილობიდან ორგანიზაციული დაქუცმაცებულობისაკენ, წრეობანისაკენ, კუსტარულობისაკენ“.

მენშევიკები ამას მოითხოვდნენ მაშინ, როცა პარტიის წინაშე ორგანიზაციული ერთიანობა იდგა გადაუდებელ ამოცანად. გამარჯვებისათვის საკმარისი არ არის, ვვასწავლის ლენინი ამ განთქმულ შრომაში, მარტო იდეური ერთიანობა, აუცილებელია იდეური ერთიანობის გამმტკიცება პროლეტარიატის ორგანიზაციული ერთიანობით. „...პროლეტარიატს შეუძლია გახდეს და იგი გარდუვალად გახდება კიდეც უძლეველ ძალად მხოლოდ იმის მეოხებით, რომ მარქსიზმის პრინციპებით მისი იდეური ვაერთიანება მტკიცდება მატერიალური ერთიანობით ორგანიზაციისა, რომელიც მშრომელთა მილიონებს რაზმად მუშათა კლასის არმიად“ (ლენინი, ტ. VI, გვ. 328).

წიგნმა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ მომცა ნათელი წარმოდგენა ბრძოლაზე, რომელიც სწარმოებდა პარტიის შიგნით II ყრილობის შემდეგ ორგანიზაციულ საკითხებში. მან გამიმდიდრა ცოდნა აღნიშნულ საკითხზე. მის შეუსწავლელად შეუძლებელია გაიგო იმ უთანხმოებათა მთელი სიღრმე, რომლებიც თავიდანვე არსებობდა პარტიაში მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის.

დაუფასებელ სამსახურს გაუწევს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლაზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს შრომა „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომელშიაც „ლენინმა მარქსიზმის ისტორიაში პირველმა შეიმუშავა **მოძღვრება პარტიაზე,** როგორც პროლეტარიატის ხელმძღვანელ **ორგანიზაციაზე,** როგორც პროლეტარიატის ხელში ძირითად **იარაღზე,** უერომლისოდაც შეუძლებელია გამარჯვება პროლეტარული დიქტატურისათვის ბრძოლაში“ (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 62).

ამიტომ ლენინის ეს განთქმული შრომა მარქსიზმის კლასიკოსთა სხვა შრომებთან ერთად ჩემი მაგიდის წიგნია.

ელენე ძნელაძე

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.



6. ლენინის წიგნის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ პირველი გამოცემის (1904 წ.) გარეკანი.



წესდება

რუსეთის სოც.-დემოკრატ. მუშათა პარტიისა, მიღებული მესამე პარტიულ კრებაზე.

I. პარტიის წევრად ითვლება ყველა ის, ვინც აღიარებს მის პროგრამას, ვინც ეხმარება შემწეობას უწევს პარტიას და მონაწილეობას იღებს პირადად მუშაობით ერთ რომელიმე მის ორგანიზაციაში.

§ 2. პარტიის უმაღლეს ორგანოთ (დაწესებულებათ) ითვლება პარტიული კრება (სიეზდი). მას იწვევს ყოველწლივ ცენტრალური კომიტეტი; ცენტრალური კომიტეტი ვალდებულია მოიწვიოს კრება, ორი თვის განმავლობაში, თუ მის მოწვევას ითხოვენ პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ერთათ ყველა ხმების ნახევარი უფლება ექნებათ სიეზდზე.

კრება ითვლება კანონიერად, თუ მასზედ წარმოდგენილ ორგანიზაციებს ერთათ გადამწყვეტ ხმების ნახევარზე მეტი უფლება აქვნებათ.

შენიშვნა 1. თუ ვინაობა, სრულ უფლებიანმა კომიტეტებმა ერეკა ითხოვეს, და ცენტრალურმა კომიტეტმა ეს ერეკა განაცხადა, მაშინ იწვევს ორგანიზაციული კომიტეტი, ორ-კვირა სრულ-უფლებიანი ორგანიზაციების წარმომადგენლობა კონფერენციაზედ.

ორგანიზაციულ კომიტეტს, კრების მოწვევაში ენიჭება ცენტრ. კომიტეტის ყველა უფლებები.

ვ. ი. ლენინი. რსდმპ წესდება, მიღებული პარტიის III ყრილობაზე. კავკასიის კავშირის კომიტეტის გამოცემა.

რაზომ უწოდა ლენინმა თავის წიგნს „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“?

წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომელიც 1904 წ. მაისში გამოვიდა, ლენინმა ქვა-ქვაზე არ დასტოვა მენშევიკების ოპორტუნისტული „დებულებებიდან“ ორგანიზაციულ საკითხებში.

ლენინმა თავისი ჩვეული დაუნდობლობით ამხილა ახალი „ისკრის“ (მენშევიკურის) მთელი ოპორტუნიზმი, განსაკუთრებით ორგანიზაციულ საკითხებში, მოგვცა ახალი ტიპის პარტიის, ბოლშევიზმის ორგანიზაციული საფუძვლები.

რატომ დაარქვა ლენინმა თავის წიგნს „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“?

რა მიაჩნდა ლენინს წინ გადადგმულ ნაბიჯად?

როგორც ცნობილია, ლენინური „ისკრა“ (ძველი) თავის ძირითად ამოცანად ისახავდა მოწინავე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული ერთიანი ცენტრალიზებული პროლეტარული პარტიის შექმნას ერთიანი საბრძოლო პროგრამით და ორგანიზაციული პრინციპებით.

„ისკრამ“ ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

ლენინურმა „ისკრამ“ პროლეტარული პარტიის და მუშათა კლასის მტრებთან (ნაროდნიკები, ესერები, „ეკონომისტები“) ბრძოლაში გამოაწრთო და გამოზარდა პროფესიონალ-რევოლუციონერთა ახალი კადრები. „ისკრის“ გარშემო თავი მოიყარეს მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულმა რევოლუციონერებმა. ლენინურმა პრინციპებმა, ლენინურ-ისკრულმა მიმდინარეობამ გაიმარჯვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. „ისკრამ“ საფუძველი ჩაუყარა ახალი ტიპის პარტიის შენობას. მანვე მოამზადა პარტიის II ყრილობის მოწვევა, რომლის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა **„ნამდვილი** პარტიის შექმნა იმ პრინციპულ და ორგანიზაციულ საფუძვლებზე, რაც წამოაყენა და დაამუშავა „ისკრამ“.[1])

II ყრილობის მიერ მარქსიზმის გამარჯვების განმტკიცება „ეკონომიზმზე“ — ამ ამკარა ოპორტუნიზმზე, პარტიაში იდეური დაბნეულობისა და ორგანიზაციული დაქსაქსულობის აშკარა დამცველებზე, II ყრილობის მიერ პარტიის პროგრამისა და წესდების მიღება, სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა და ამრიგად ერთიანი პარტიისათვის ჩარჩოების აგება წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს.

ორგანიზაციული არევ-დარევისა და წრეობრიობის პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო მთლიანობა პროგრამისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებში, არც იდგა მწვავედ საკითხი ერთიანი ორგანიზაციის ფორმების შესახებ. მაშინ ჩვენ „ვეხებოდით,—ამბობს ლენინი, — მხოლოდ ახალ (მაშინ მართლაც ახალ) საკითხებს პროგრამულ და ტაქტიკურ ბრძოლისას ოპორტუნიზმთან. ახლა ამ ბრძოლამ ყველას საერთო აზრით, უზრუნველჰყო საკმაო ერთიანობა, ჩამოყალიბებული პარტიულ პროგრამასა და პარტიულ რეზოლუციებში ტაქტიკის შესახებ. ახლა უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი და ეს ნაბიჯი საერთო თანხმობით გადავდგით კიდეც: შევიმუშავეთ **ფორმები** ერთიანი, ყველა წრის ერთად შემადგენელი, ორგანიზაციის“.[2])

რა მიაჩნდა ლენინს უკან გადადგმულ ნაბიჯებად?

როდესაც პარტია მივიდა წრეობანობისა და ორგანიზაციული დაქსაქსულობის ლიკვიდაციამდე, ანარქიკე ისკრელებმა II ყრილობაზე მარტოვის მეთაურობით, რომელთაც მხარს უჭერდა იუდა ტროცკი და მთლიანად II ყრილობის ოპორტუნისტული ნაწილი, აშკარად იცავდნენ რა ორგანიზაციულ დაქსაქსულობას და წრეობანობას, პარტიის წესდების 1-ლი პარაგრაფის, ცენტრალური ორგანოს რედაქციის და ც. კ-ის არჩევნების საკითხებში გადადგეს ნაბიჯი უკან.

II ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა შეჰქმნეს ანტიპარტიული ფრაქცია ყველა ანტიისკრელებთან ერთად და სასტიკი ბრძოლა გამართეს ლენინური ორგანიზაციული პრინციპების წინააღმდეგ. პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხად მათ აირჩიეს, როგორც ამას ლენინი გამოსთქვამდა: „მთელი პარტიული მუშაობის დეზორგანიზაცია, საქმის გაფუჭება, ყველაფრისა და ყოველივეს შეფერხება“.

მენშევიკებმა პლეხანოვის დახმარებით ხელში ჩაიგდეს რა პარტიის ცენტრალური ორგანოები, „ისკრა“ გადააქციეს პარტიის დეზორგანიზატორების ანტიპარტიულ ორგანოდ. მათ ჩაშალეს II ყრილობის გადაწყვეტილებანი და ამგვარად გადადგეს მეორე ნაბიჯი უკან.

როდესაც ძველი „ისკრის“ ბრძოლის შედეგად პარტია ამაღლდა ჯგუფობრიობის თვალსაზრისიდან ერთიანი პარტიის შექმნის თვალსაზრისამდე, როდესაც შევიმუშავეთ, — ამბობს ლენინი, — ფორმები ერთიანი, ყველა წრის ერთად შემადგენელი ორგანიზაციისა, მენშევიკებმა თავიანთი დეზორგანიზატორული, დამარღვეველი მოქმედებით „ჩვენ ახლა დაგვწიეს უკან, დაანგრიეს ნახევრად ეს ფორმები, დაგვწიეს ანარქისტულ მოქმედებისაკენ, ანარქიულ ფრაზისაკენ, წრის აღდგენისაკენ ნაცვლად პარტიული რედაქციისა, და ახლა ამ უკან გადადგმულ ნაბიჯს იმით ამართლებენ, რომ ანბანი უფრო უწყობს ხელს წესიერ ლაპარაკს, ვიდრე სინტაქსის ცოდნაო“![3])

ლენინმა წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ გაანადგურა მენშევიკური ოპორტუნიზმი ორგანიზაციულ საკითხებში, მეტად მკაფიოდ ჩამოაყალიბა ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული პრინციპები და დაიცვა პარტიულობა წრეობანისაგან, ხოლო პარტია დეზორგანიზატორებისაგან.

ლენინის ამ ნაშრომის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეიარაღა რუსეთის რევოლუციური სოციალ - დემოკრატები მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით პროლეტარიატის ერთიანი მებრძოლი პარტიის მშენებლობის შესახებ. ამ წიგნის გამოსვლამ და გავრცელებამ პარტიულ მუშაკთა შორის გამოიწვია რუსეთის ადგილობრივ ორგანიზაციათა უმრავლესობის დაჩაზმვა ლენინის გარშემო.

ერ. ახობაძე

[1]) ლენინი. ტ. V. გვ. 164.

[2]) ლენინი. რჩ. ნაწ. ტ. I. გვ. 127.

[3]) ლენინი. რჩ. ნაწ. ტ. I. გვ. 727.

ს. სიმონიშვილი

ვ. ი. ლენინის წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“

„ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პროლეტარიატს არა აქვს სხვა იარაღი, გარდა ორგანიზაციისა“.

ვ. ი. ლენინი

ხალხთა ბელადი ი. ბ. სტალინი 1920 წელს ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 50 წლისთავისათვის დაწერილ თავის ისტორიულ სტატიაში „ლენინი, როგორც რ. კ. პ. ორგანიზატორი და ბელადი“, იძლევა რა ბოლშევიზმის გენიალური ფუძემდებელის ვ. ი. ლენინის ძვირფას დახასიათებას, სწერს:

„დაყენება საერთო-რუსული პოლიტიკური გაზეთისა, როგორც პარტიული ძალების მიმზიდველი ცენტრისა, დარაზმვა ადგილებზე მტკიცე პარტიული კადრებისა, როგორც პარტიის „რეგულარული ნაწილებისა“, ამ კადრების ერთ მთელად შეკრება გაზეთის საშუალებით და მათი შემჭიდროება სრულიად-რუსეთის მებრძოლ პარტიად მკვეთრად შემოხაზული საზღვრებით, ნათელი პროგრამით, მტკიცე ტაქტიკით, ერთიანი ნებისყოფით,—აი როგორი გეგმა განავითარა ლენინმა თავის ცნობილ წიგნებში: „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი უკან“. ამ გეგმის ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი სავსებით უპასუხებდა რუსეთის სინამდვილეს და ოსტატურად აზოგადებდა საუკეთესო პრაქტიკოსების ორგანიზაციულ გამოცდილებას. ამ გეგმისათვის ბრძოლაში რუსეთის პრაქტიკოსების უმრავლესობა გადაჭრით გაჰყვა ლენინს, არ შეუშინდა რა გათიშვას. ამ გეგმის გამარჯვებამ საძირკველი ჩაუყარა იმ შემჭიდროებულ და გამობრძმედილ კომუნისტურ პარტიას, რომლის მსგავსს მსოფლიო არ იცნობს“. (ი. სტალინი—„ლენინის შესახებ“, გვ. 12).

ოცდათხუთმეტი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა ვ. ი. ლენინის ცნობილი წიგნი — ბოლშევიზმის ისტორიის უძვირფასესი განძი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, რომელიც ვ. ი. ლენინმა დასწერა 1904 წლის თებერვალ-მაისში და რომელიც გამოიცა ჟენევაში იმავე წლის 19 (6) მაისს.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით რუსეთში პროლეტარული პარტიის შექმნა სწარმოებდა ცარიზმის უსასტიკესი რეჟიმის პირობებში, „ლეგალურ მარქსისტების“, „ეკონომისტების“ და მენშევიკების წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლაში.

ცნობილია, რომ პარტიის II ყრილობამ შეჰქმნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და განამტკიცა მარქსისტების გამარჯვება აშკარა ოპორტუნიზმზე — „ეკონომიზმზე“.

მაგრამ ამავე ყრილობაზე თავი იჩინა სერიოზულმა უთანხმოებამ, რომელმაც პარტია გაჰყო ორ ნაწილად — ბოლშევიკებად და მენშევიკებად.

„ყრილობა ვერ აღმოჩნდა თავისი მდგომარეობის სიმაღლეზე ორგანიზაციული საკითხების დარგში, განიცდიდა მერყეობას, ზოგჯერ გადაძლევის შესაძლებლობასაც კი აძლევდა მენშევიკებს, და თუმცა ყრილობა ბოლოს გამოსწორდა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო არა თუ მხლება მენშევიკების ოპორტუნიზმისა ორგანიზაციულ საკითხებში და მათი იზოლირება პარტიაში, არამედ პარტიის წინაშე ასეთი ამოცანის დასმაც კი“. (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი. გვ. 53).

სწორედ ეს იყო ერთერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არა თუ არ დამცხრალა, არამედ კიდევ უფრო გაჩაღდა და გამწვავდა.

მენშევიკები, რომლებმაც პარტიის მეორე ყრილობაზე განიცადეს დამარცხება, ყოველნაირად ცდილობდნენ პარტიის დეზორგანიზაციას და ყრილობის გადაწყვეტილებების ჩაშლას. ისინი ეწეოდნენ პარტიას უკან—დაქსაქსულობისაკენ, წრეობანისაკენ, კუსტარულობისაკენ. მენშევიკების ლიდერების — მარტოვის, ტროცკის, აქსელროდის, პლეხანოვის და სხვათა მთელი დეზორგანიზატორული მუშაობა მიმართული იყო პარტიული იდეების დამდაბლებისაკენ, პარტიული კადრების მოსპობისაკენ, იმისაკენ, რომ პროლეტარიატს არ ჰყოლოდა თავისი პარტია, რომ მუშათა კლასი საჯიჯგნელად მიეცათ ბურჟუაზიისათვის.

„ლენინის უდიდესი დამსახურება რუსეთის პროლეტარიატისა და მისი პარტიის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან გამოამეღაენა მენშევიკური ორგანიზაციული „გეგმის“ მთელი საფრთხე ჯერ კიდევ იმ მომენტში, როდესაც თვით „გეგმის“ ავტორებს გეჭირვებით წარმოედგინათ ნათლად მისი მოხაზულობა, და გამოამეღაენა რა იგი, გააფთრებული შეტევა დაიწყო მენშევიკების ორგანიზაციული თავაშვებულობის წინააღმდეგ და პრაქტიკოსებს მთელი ყურადღება ამ საკითხზე მიაპყრო. ვინაიდან საქმე ეხებოდა პარტიის არსებობას, პარტიის სიკვდილ-სიცოცხლეს“. (ი. სტალინი, „ლენინის შესახებ“. გვ. 12).

მენშევიკებმა პლეხანოვის დახმარებით, რომელიც მეორე ყრილობის შემდეგ ოპორტუნიზმის ჭაობისაკენ დაქანდა, ხელში ჩაიგდეს ცენტრალური ორგანოები და ახალი „ისკრის“ ფურცლებიდან ღვარივით წამოვიდა განცხადებები და სტატიები, სადაც ისინი იცავდნენ ორგანიზაციულ თავაშვებულობას და ეწეოდნენ უხამს ცილისწამებას ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მენშევიკების ლიდერებმა მთელი პარტიისაგან მალულად შეჰქმნეს თავისი საიდუმლო ანტიპარტიული ფრაქციული ორგანიზაცია მარტოვის, ტროცკის და აქსელროდის მეთაურობით და საზიზღარი შარლატანური, თაღლითური ხრიკებით ეწეოდნენ ბრძოლას პარტიის, ლენინისა და ლენინელების წინააღმდეგ. მენშევიკები თავიანთი დეზორგანიზატორული ფრაქციული მუშაობით წყალს უშვებდნენ მუშების, გლეხების და რევოლუციის მტრების წისქვილზე.

ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ გასაცვიფრებელი ძლიერებით ააშკარავებს მენშევიკურ და ტროცკისტულ ოპორტუნიზმს ორგანიზაციულ საკითხებში, ცოცხალი პარტიული ცხოვრების მდიდარი ფაქტების ღრმა ანალიზის საფუძველზე აყენებს ახალი ტიპის პარტიის თავის გენიალურ ორგანიზაციულ გეგმას და ამუშავებს ბოლშევიზმის ორგანიზაციული პრინციპების საფუძვლებს.

ვ. ი. ლენინის ამ გენიალური პრინციპების სტალინური გაშუქება მოცემულია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსში:

„1). მარქსისტული პარტია არის მუშათა კლასის ნაწილი, მისი რაზმი... იგი წარმოადგენს არა უბრალო რაზმს, არამედ მუშათა კლასის **მოწინავე** რაზმს, **შეგნებულ** რაზმს, **მარქსისტულ** რაზმს“...

„2). პარტია არის მუშათა კლასის არა მარტო მოწინავე, შეგნებული რაზმი, არამედ, ამასთან ერთად, — მუშათა კლასის **ორგანიზებული** რაზმიც, რომელსაც აქვს თავისი დისციპლინა, მისი წევრებისათვის სავალდებულო“...

„3). პარტია არის არა უბრალო ორგანიზებული რაზმი, არამედ მუშათა კლასის სხვა ორგანიზაციებს შორის **„ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა“,** რომელიც მოწოდებულია **უხელმძღვანელოს** მუშათა კლასის ყველა დანარჩენ ორგანიზაციას“...

„4). პარტია არის **განსახიერება** მუშათა კლასის მოწინავე რაზმის **კავშირისა მუშათა კლასის მილიონიან მასე`ან**“...

„5). პარტია, იმისათვის, რომ სწორად მოქმედებდეს და გეგმაშეწონილად ხელმძღვანელობდეს მასებს, — ორგანიზებული უნდა იყოს **ცენტრალიზმის** საფუძველზე“...

„6). თუ პარტიას სურს შეინარჩუნოს თავისი რიგების **ერთიანობა,** იგი თავის პრაქტიკაში უნდა ატარებდეს **ერთიან** პროლეტარულ დისციპლინას, **თანაბრად** სავალდებულოს პარტიის ყველა წევრისათვის, როგორც ლიდერებისათვის, ისე რიგითი წევრებისათვისაც“.

ვ. ი. ლენინი თავის წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, ააშკარავებდა რა მენშევიკების და ტროცკისტების ოპორტუნიზმის მტრულ ბუნებას, დაჟინებით მოითხოვდა რკინისებური პარტიული დისციპლინის დამყარებას, რომელიც უზრუნველჰყოფს პარტიის მთლიანობას და მისი რიგების მონოლიტურ ერთიანობას.

ასეთია ძირითადი ორგანიზაციული დებულებანი, რომლებიც გავითარა ვ. ი. ლენინმა თავის ისტორიულ წიგნში „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

მენშევიკები მტრულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის წიგნს. მარტოვი და ტროცკი გამოვიდნენ ბოროტი ცილისწამებით ლენინის ამ წიგნის წინააღმდეგ. მენშევიკური ც. კ-ის წევრი გლებოვი (ნოსკოვი) ცდილობდა დაებრკოლებინა ლენინის ამ წიგნის ბეჭდვა და გავრცელება. პლეხანოვი ცენტრალურ კომიტეტს მოუწოდებდა გამიჯნოდა ლენინს.

ვ. ი. ლენინის წიგნს „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ იერშით შეეგებენენ არა მარტო რუსეთის ძენშევიკები, არამედ დასავლეთის ოპორტუნისტებიც, გერმანიის სოციალ-დემოკრატიისა და II ინტერნაციონალის ცენტრისტები. ლენინის წიგნი ალმდეგ გაილაშქრა რ. ლუქსემბურგიც.

ვ. ი. ლენინმა რ. ლუქსემბურგის საპასუხოდ დასწერა სტატია იმავე სათაურით, როგორც მისი წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“, გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პრესაში გამოსაქვეყნებლად, მაგრამ ოპორტუნიზმის პატრიარქმა კაუტსკიმ არ დაუშვა ლენინის ამ სტატიის გამოქვეყნება.

ვ. ი. ლენინი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დასავლეთ ევროპის მუშებისათვის გაეცნო ბოლშევიკების მენშევიკებთან შეურიგებელი ბრძოლის ჭეშმარიტი რევოლუციური შინაარსი.

ამიერ - კავკასიის ბოლშევიკები ამხანაგ სტალინის მეთაურობით, როგორც ეს ბრწყინვალედ დასაბუთებულია ამხანაგ ლ. ბერიას ცნობილ წიგნში — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, — იცავდა და დაუღალავად ჰქადაგებდა ლენინის მოძღვრებას ახალი ტიპის პარტიის შესახებ.

რ. ს. დ. მ. პ. კავკასიის კავშირის კომიტეტის ორგანო გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლის“ რედაქციამ, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა, ვ. ი. ლენინის წიგნის „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ დასაცავად გამოაქვეყნა ძვირფასი სტატია „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია“. კავკასიის კავშირის კომიტეტი, ამ სტატიაში აკამტვერებდა რა პარტიის წესდების პირველი პარაგრაფის მარტოვის ფორმულირებას, მგზნებარედ იცავდა ლენინის იდეებს ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციული საფუძვლების შესახებ და პარტიის მესამე ყრილობის წინაშე ამოცანად აყენებდა მეორე ყრილობის მიერ ორგანიზაციულ საკითხებში დაშვებული შეცდომის გამოსწორების აუცილებლობას.

ბოლშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპების დაცვის და მენშევიზმის ოპორტუნიზმის მხილების საქმეში განსაკუთრებული, უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა ამხანაგ სტალინის წიგნმა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, რომელიც დაიწერა 1905 წლის დასაწყისში და

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ



ოთახი ქალ. ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე № 13 სახლში. 1901 წლის ნოემბრის დამლევიდან აქ ცხოვრობდა ამხანაგი სტალინი.

„... ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია მოაწყო ამხანაგმა სტალინმა და მან პირველმა აამოძრავა ბათუმის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის. ამხანაგმა სტალინმა ბათუმის მოწინავე მუშებთან ერთად შესძლო ბათუმის მუშათა ფართო მასები ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში“.

ლ. პ. ბერია

ამხანაგი სტალინი და ხაშიმი (1902 წ.)

მხატვარ ს. კირაკოზოვის სურათი

ასე უსიხარულოდ მიდიოდნენ დღეები

„— ახლა ჩვენ შრომით ვმოულობთ მხოლოდ პურსა და წყლის ფულს, იმდენს, რომ შიმშილით არ მოვკვდეთ, რომ შეგვეძლოს სიმდიდრის შექმნა არა ჩვენთვის, არამედ სხვისთვის... ძძიმეა ასე ცხოვრება, და უნებურად იბადება კითხვა: რათ ვიტანჯებით ასე? ჩვენ მოკლებული ვართ ყოველივე სიხარულს, მთელი ჩვენი ცხოვრება გზა არის საფლავისაკენ. ამიტომ უკეთესი არ იქნება დავიხოცოთ არა დაზგებთან და არა მონებად, არამედ დავიხოცოთ თავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში!...“

ასე აგვიწერდა ბათუმელი მუშა გაზ. „ისკრის“ ფურცლებზე ბათუმის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშების მდგომარეობას 900 წლებში. კორესპონდენტი გულისწყრომით აღნიშნავდა, რომ მრეწველთა და ჩინოვნიკთა თავგასულობა ყოველგვარ საზღვრებს სცილდება, რომ მეფის „მართლმსაჯულება“ მთელი თავისი დამპალი აპარატით ერთი მუჭა მუქთახორებისა და მძარცველების მხარეზეა, რომ მუშათა მდგომარეობა დღითიდღე აუტანელი ხდება.

წყეული წარსულის ამ კოშმარულ სურათს ახლაც გვისურათებენ მაშინდელი ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები. ბათუმის საწარმოებში მუშებისადმი უხეში მოპყრობა, მათი ადამიანური ღირსებების ფეხქვეშ გათელვა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

ძველი მოწინავე მუშა პორფილე ლომჯარია თავის მოგონებებში მოგვითხრობს:

„ვმუშაობდით აუტანელ პირობებში: სანიტარული ზედამხედველობის ხსენებაც კი არ იყო, ასევე საექიმო დახმარებისაც; მუშებს უხეშად ეპყრობოდნენ, იშვიათი არ იყო ადმინისტრაციის მიერ მუშების ცემის შემთხვევები. თუმცა მუშები დაზღვეულებად ითვლებოდნენ, მაგრამ თუ მანქანით დასახიჩრებული მუშა (ასეთი შემთხვევები ხშირი იყო) ადმინისტრაციას სადაზღვევო ანაზღაურებისათვის მიმართავდა, მას უარით ისტუმრებდნენ. მართალია, ადმინისტრაცია მოითხოვდა სადაზღვევო თანხებს „პარიზის საზოგადოებისაგან“, რომელშიც ჩვენ დაზღვეული ვიყავით, მაგრამ ამ თანხებს მუშებს კი არ ძლევდა, არამედ თვითონ ითვისებდა“.

როგორც წესი, საწარმოებში სამუშაო დღის ხანგრძლივობა დილის 6 საათიდან ღამის 11-12 საათამდე აღწევდა.

ხელფასი მეტად მცირე იყო, ზაფხულის პერიოდში მუშის დღიური ხელფასის შეადგენდა 70 კაპ., ხოლო ზამთრობით — 60 კაპ. თუ რამდენად საშინელი იყო მუშაობის პირობები, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ახლად მოსული მუშები მეორე, მესამე დღეს გარბოდნენ წარმოებიდან და ხშირად 2-3 დღის ნამუშევარს უტოვებდნენ ქარხანას. მოთმინებიდან გამოსულმა მუშებმა სცადეს და მოითხოვეს დღიური ხელფასის გადიდება 10 კაპიკით, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მუშებმა სცადეს 900 წლებში მოეწყოთ პირველი გაფიცვა, მაგრამ ეს გაფიცვა არაორგანიზებული იყო და გაფიცული მუშები კვლავ დაუბრუნდნენ წარმოებას.

900 წლებში ბათუმი უკვე თვალსაჩინო სამრეწველო ცენტრს წარმოადგენდა. მარტო 1898 წელს ბათუმში იყო 10-ზე მეტი მსხვილი საწარმო. მუშათა საერთო რაოდენობა 11 ათასს აღწევდა.

პირობები მომწიფებული იყო.

საჭირო იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობა, მუშების დარაზმვა, პოლიტიკური აგიტაციის გაშლა და რევოლუციურ-პოლიტიკური ბრძოლის დაწყება.

„მესამე დასის“ უმრავლესობის წარმომადგენლები კარლო ჩხეიძე და ისიდორე რამიშვილი, რომლებიც 1899-1900 წლებში ბათუმში იმყოფებოდნენ, უარჰყოფდნენ პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას, იდგნენ რა „ლეგალური მარქსიზმის“ პოზიციებზე, ისინი კმაყოფილდებოდნენ წრეებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით.

თუ როგორი იყო ამ „განმანათლებელი“ წრეების პოლიტიკური ფიზიონომია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ერთერთ ასეთ წრეს სხვა მენშევიკებთან ერთად ხელმძღვანელობდა მლედელი სიმონ თოთიბაძე.

„1901 წლამდე, ვიდრე ბათუმში არ ჩამოვიდა ამხანაგი სტალინი, ბათუმის მუშები მოკლებული იყვნენ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ჩვენ არ ვიცოდით და არც ვკითხულობდით პოლიტიკურ ლიტერატურას, არავითარ ჟურნალებს და გაზეთებს“ (ილია შარაშიძის მოგონებიდან).

შემთხვევით როდი ამბობდა ჟანდარმთა როტმისტრი ჯაყელი, რომ ბათუმში მარქსისტ კ. ჩხეიძისა და ი. რამიშვილის დროს ყველაფერი რიგზე იყო, ხოლო როცა გაჩნდა მარქსისტი ი. ჯუღაშვილი, მუშებმა დაიწყეს აჯანყებები და პოლიტიკური გაფიცვებიო.

როგორც ცნობილია, თბილისის კომიტეტის დავალებით ამხანაგი სტალინი 1901 წლის ნოემბრის დამლევს ბათუმში გადადის. ჩასვლისთანავე ამხანაგი სტალინი დაბინავდა პუშკინის ქუჩაზე მდებარე № 13 სახლში. ეს პატარა ოთახი, რომელიც ახლა რესტავრირებულია, გადაიქცა ცენტრალურ პუნქტად, საიდანაც ახალგაზრდა სტალინი აყალიბებდა და ხელმძღვანელობდა პირველ სოციალ-დემოკრატიულ ლენინურ-ისკრულ ორგანიზაციებს ბათუმის საწარმოებში.

ᲡᲛᲘᲠᲑᲐᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

ბათუმში ჩასვლისთანავე ამხანაგი სტალინი შეუდგა არალეგალური სტამბის მოწყობას. 1902 წლის იანვარში ამხანაგმა სტალინმა მოაწყო კიდეც არალეგალური სტამბა, რომელიც პირველ ხანებში მეტად პრიმიტიული იყო. შემდეგ ამხანაგმა სტალინმა გააფართოვა და გააუმჯობესა იგი. სტალინი თვითონ წავიდა თბილისში სტამბის ნაწილების ჩამოსატანად. ჩამოტანილ იქნა საბეჭდი დაზგა, უჯრები და შრიფტი.

პირველად სტამბა მოთავსებული იყო ილარიონ დარახველიძის ბინაზე, სადაც მაშინ ცხოვრობდა ამხანაგი სტალინი. მაგრამ ჯაშუშების მიერ იგი შეიჩნეულ იქნა და ამიტომ გადაიტანეს ჯერ სოფ-სუს სასაფლაოს დარაჯ ილარიონ კაჭახმაძესთან, ხოლო შემდეგ სილიბისტრო და პორფილე ლომჯარიების ბინაზე, რომელიც კონსპირაციის თვალსაზრისით უფრო საიმედო ადგილს წარმოადგენდა.

სტამბა არც აქ დარჩათ შეუმჩნეველი მეფის ჯაშუშებს. ხელახლა დაისვა საკითხი მისი სხვა, უფრო საიმედო ადგილზე გადატანის შესახებ. გადაწყდა სტამბა გადატანილიყო სილიბისტრო ლომჯარიას ნაცნობი აფხაზის ხაშიმ სმირბას ბინაზე.

ბათუმის მახლობელ სოფელ მახმუდიაში ცხოვრობდა აფხაზეთიდან გადმოხვეწილი გლეხი ხაშიმი. ხაშიმს მთელი სოფელი იცნობდა, როგორც პატიოსან და მამაც კაცს. იგი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის თხოვნაზე.

— კარგი! — დაეთანხმა სმირბა სილიბისტრო ლომჯარიას, რომელმაც ხაშიმს სთხოვა თავის ბინაში შეეფარებინა ამხანაგი სტალინი და არალეგალური სტამბა.

სტამბა თვითონ ხაშიმმა თავის შვილთან და სიძესთან ერთად გადაიტანა თავის ბინაზე, ხოლო მეორე დღეს მასთან გადავიდა ამხანაგი სტალინი. აქედან დაიწყო სტალინისა და ხაშიმის დაუვიწყარი მეგობრობა.

სტამბაში თვითონ სტალინი მუშაობდა. სწერდა და ბეჭდავდა პროკლამაციებს, არალეგალურ ფურცლებს, მოწოდებებს, რომლებსაც ავრცელებდნენ არა მარტო ქალაქად მუშებში, არამედ სოფლებში საქართველოს მახლობელ რაიონებში — გურიაში, სამეგრელოში, იმერეთში. ამხანაგი სტალინი ჰგზავნიდა მუშებს თავიანთ სოფლებში პროკლამაციების გასავრცელებლად. არალეგალურ ფურცლებს ავრცელებდა ხაშიმიც. ის ფაბრიკა-ქარხნებში ჰყიდდა ხილს, რომელსაც მოხერხებულად ახვევდა პროკლამაციებში და საიმედო მუშებს აძლევდა. ხაშიმს სტალინის დავალებით არალეგალური ფურცლები მიჰქონდა გასავრცელებლად ფოთში და ოზურგეთში.

სტალინის გენიით აღფრთოვანებული მოხუცი სიხარულით და დაუზარებლად ასრულებდა დიად რევოლუციურ საქმეს.

არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილი ფურცლები მუშებში და გლეხებში უდიდეს გამარეოლუციურებელ გავლენას ახდენდა. „განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ბათუმის 1902 წლის 9 მარტის ამბების გამო ამხანაგ სტალინის მიერ დაწერილი პროკლამაცია, რომელიც მუშებსა და გლეხებს მოუწოდებდა რევოლუციური ბრძოლისაკენ ცარიზმის დასამხობად“ (ბერია).

პროკლამაციები, რომლებსაც ამხანაგი სტალინი სწერდა ბათუმის ციხეში ყოფნის დროსაც, მოუწოდებდნენ მუშებს შეუნელებელი რევოლუციური ბრძოლისაკენ ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1902 წლის 29 ივნისის პროკლამაციაში ამხანაგი სტალინი სწერდა: **„ჩვენი ძალა ჩვენს კავშირშია და მხოლოდ ჩვენს ერთობას შეუძლია დაგლიჯოს ის ჯაჭვები, რომლითაც შებოჭილი ვართ დღევანდელი წესწყობილებისაგან“.**

პროკლამაცია თავდება საბრძოლო მოწოდებით:

„ბრძოლა და ბრძოლა მედგარი,
ეს ჩვენი წმინდა ვალია,
აწმყოს დაეცა თავზარი,
ახლოს სჩანს მომავალია!“.

სტალინური სტრიქონების დიადი ძალა გამარჯვების ურყევ რწმენას ნერგავდა მშრომელებში. ბრწყინვალე მომავალი სწამდათ ბათუმის მუშებს.

— ნურაფრის ნუღარ გეშინია,—უთხრა ერთ დილას სიხარულით აღტაცებულმა ხაშიმმა ამხანაგ სტალინს.—შენი საქმე ძალიან კარგად დაბოლოვდება.

— რატომ გგონია ასე? — შეეკითხა ამხანაგი სტალინი.

— სიზმარი ვნახე, სოსო, და იცი რანაირი სიზმარი? დამესიზმრა, რომ შენ გაანთავისუფლე მთელი კავკასია მეფის სალდათებისაგან და ვითომ ჩვენ ცხოვრება შეგვიმსუბუქდა, ცხოვრება კარგი და თავისუფალი გაგვიხდა. იცოდე, ეს კარგია. ძალიან კარგია, სოსო!

ხაშიმ სმირბას სიზმარი ახდა.



ბათუმი. ობელისკი ყოფ. მანთაშევის ქარხნის ტერიტორიაზე. ამ ქარხანაში 1902 წლის იანვარში მოეწყო დიდი გაფიცვა, რომელიც მუშათა გამარჯვებით დამთავრდა

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲐᲜᲗᲐᲨᲔᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐ

პროლეტარული გზატკეცილის და ფრუნზეს ქუჩების კუთხეში ახლა გაშენებულია შვეიცარი სკვერი. შუაში აღმართულია თლილი ქვისაგან ნაგები ობელისკი.

ამ ტერიტორიაზე 900-იან წლებში მოთავსებული იყო ყოფ. მანთაშევის ნავთის გადამსხმელი ქარხანა, რომელშიაც მუშათა რიცხვი ზოგჯერ 1.500-მდე აღწევდა. ეს ის ქარხანაა, სადაც გაბატონებული იყო მუშებთან მუშტი-კრივით გასწორება. სადაც წარმოუდგენელ ექსპლოატაციას უწევდნენ მოზარდებს. ამ ქარხნის მმართველი იყო ვინმე ტერ-აკოფოვი, რომელიც მხეცურად ექცეოდა მუშებს.

მანთაშევის ქარხნის ერთმა საამქრომ, რომელშიაც მუშაობდა კ. კალანტაროვი, რამდენჯერმე მოაწყო გაფიცვა, მაგრამ ეს გაფიცვა არაორგანიზებულ ხასიათს ატარებდა, რის გამო ვერ იძლეოდა სასურველ შედეგებს.

ამხანაგმა სტალინმა შესძლო ამ ქარხანაში მოეწყო მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე და გაეშალა პოლიტიკური აგიტაცია. 1902 წლის 31 იანვარს ამხანაგ სტალინის მეთაურობით დაიწყო მანთაშევის ქარხნის მუშათა პირველი დიდი გაფიცვა იმის გამო, რომ უკანონოდ ხსნიდნენ მუშებს, ხელაღებით აჯარიმებდნენ მათ, არ იცავდნენ დასვენებისა და უქმე დღეებს და ა. შ. ამ გაფიცვაში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მუშამ.

გამხეცებულმა ტერ-აკოფოვმა დახმარებისათვის მიმართა პოლიციას, რომელმაც გაფიცულთა წინაღმდეგ ამოქმედა მუშტები და კონდახები. დაპატიმრებულ იქნა 112 კაცი. მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს მუშების წინაღმდეგობა. მუშები დაჟინებით მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას. გაფიცვა გაგრძელდა 17 თებერვლამდე და დამთავრდა მუშების გამარჯვებით.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲘᲛᲑᲝᲕᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ

ცნობილი მუშა რევოლუციონერი კოტე კალანტაროვი საპყრობილიდან განთავისუფლებისთანავე სამუშაოდ გადავიდა ბათუმში და მოეწყო მანთაშევის ქარხანაში. საცხოვრებლად დაბინავდა პუშკინის ქუჩაზე მდებარე № 13 ყოფ. სიმბოვიჩის სახლში.

როგორ დიადად გამოიყურება ახლა ეს ჩვეულებრივი ერთსართულიანი სახლი! აქ, ამ პატარა სახლის ერთერთ ოთახში ამხ. კალანტაროვთან ერთად ცხოვრობდა დიდი ბელადი 1901 წლის ნოემბრის დამლევიდან.

ამაღელვებელი გრძნობით შედიხარ ამ სახლის ეზოში, რომლის ჭიშკარსაც ახლა წითელი არშიებით მორთული მშვენიერი თაღი ალამაზებს.

ვული უსაზღვრო სიხარულითა და სიამაყით გევსება, როდესაც ათვალიერებ ოთახს და ავეჯს. თვითეული, სულ პატარა ნივთიც კი მშობლიურია. აი სწორედ იქ, მარჯვნივ კუთხეში, სულ უბრალო საწოლზე ღამეს ათევდა ამხანაგი სტალინი. აი ის პატარა მაგიდაც, რომელზედაც იწერებოდა სტალინური სტრიქონები. ამ მაგიდაზე ალაგია ძველი „ისკრის“ და ჟურნალ „კვალის“ ნომრები, აქ, ამ ოთახში ბევრჯერ თეთრად გაუთენებიათ ღამეები. ამ პატარა ოთახს კარგად ახსოვს, როგორი გატაცებით ელაპარაკებოდა სტალინი ბათუმელ მოწინავე მუშებს მომავალ ცხოვრებაზე, მარქსისა და ლენინის დიად აზრებზე. ამ სახლიდან ხელმძღვანელობდა ამხანაგი სტალინი პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც მან ერთი თვის განმავლობაში შეჰქმნა მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში.

ახლაც უსაზღვრო კმაყოფილებით იგონებენ ძველი მუშები სოსო ჯუღაშვილის უდიდეს რევოლუციურ, ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობას და პირველ შეხვედრებს მასთან.

განა დაავიწყდება პორფილე ქურიძეს შეხვედრა სტალინთან, რომელმაც პორფილეს შესანახად მისცა ჰეგელის წიგნი და განუმარტა კიდეც, ვინ იყო ჰეგელი და რით არის იგი შესანიშნავი?.

არასოდეს არ დაავიწყდება მას სტალინის შენიშვნა, როცა ხელში დაუნახა მენშევიკური ჟურნალი „კვალი“. — „რაში გამოდგება კაცი, აღზრდილი ამ ლიტერატურით“, — უსაყვედურა სტალინმა.

და მართლაც, სულ რამდენიმე თვის განმავლობაში დიდმა სტალინმა მიაღწია იმას, რომ დარაზმა ბათუმის მუშები პოლიტიკური ბრძოლებისათვის. „კვალის“ და მისი მეთაურების ოპორტუნიზმის გავლენას მუშებში ნიადაგი გამოეცალა. ლენინურ-ისკრული იდეები კი თანდათანობით ეუფლებოდნენ მუშათა მასებს.

პოლიტიკური ბრძოლებისათვის და გაფიცვებისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. —და ეს ნიადაგი მზადდებოდა ამ პატარა ოთახის კედლებიდან.

ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲡ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ

პუშკინის ქ. № 13 სახლში, სადაც ცხოვრობდა ამხანაგი სტალინი, დაბინავდა უბნის ზედამხედველი ინწკირველი. სახლი უკვე აღარ წარმოადგენდა კონსპირატიულ ადგილს, სადაც რევოლუციონერებს შეეძლებოდათ ეცხოვრათ, ამიტომ ამხანაგი სტალინი გადადის სილიბისტრო და პორფილე ლომჯარიების ბინაზე.

ამხანაგი სტალინი ამ ბინიდან ხელმძღვანელობს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, რომლებიც მან შეჰქმნა სულ მოკლე ხნის განმავლობაში. იწვევს მათ კრებებს, აძლევს მუშებს რჩევა-დარიგებას, მოუწოდებს მათ მეფის მთავრობისა და ქარხნის მეპატრონეთა წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაკენ.

1901 წლის 31 დეკემბერს ლომჯარიების ბინაზე ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა ბათუმის მთავარ საწარმოთა სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით. ეს ჯგუფი ასრულებდა რსდმპ ლენინურ-ისკრული მიმართულების ბათუმის კომიტეტის როლს.

კრება მოწვეულ იქნა ახალი წლის შეხვედრის სახით. მოწინავე მუშებმა შეაგროვეს ამხანაგებში ორ-ორი მანეთი და იყიდეს საჭირო სანოვაგე.

კრებას, რომელზედაც ამხანაგი სტალინი წარმოსთქვამდა მგზნებარე რევოლუციურ სიტყვებს, დაესწრო 25-30 კაცი. კრების მონაწილე, როტშილდის ქარხნის მუშა პორფილე ლომჯარია თავის მოგონებაში სწერს:

„ჩვენი „საახალწლო საღამო“ გადაიქცა ტრიბუნად. ამხანაგი სოსო მოგვიწოდებდა ჩვენ ბრძოლისაკენ. ჩვენ აღვფრთოვანდით და ერთხმად შევფიცეთ ამხანაგ სოსოსა და ერთმანეთს, რომ სიკვდილამდე ვიბრძოლებთ მუშათა საქმისათვის.

„ამხანაგ სტალინის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის ქარხნების მუშათა გაერთიანებასა და ორგანიზაციაში ცარიზმთან და ბურჟუაზიასთან საბრძოლველად“.

კრება გათენებამდე გაგრძელდა. განთიადისას ამხანაგ სტალინმა იწინასწარმეტყველა: „დადგება დრო, როცა კაპიტალიზმი დამხობილი იქნება და ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგება მუშათა კლასი“.

1901-1902 წლებში ლომჯარიას ბინაში ამხანაგი სტალინი ატარებდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა წრეების მეცადინეობას.

ამხანაგ სტალინს დიდხანს არ უცხოვრია ძმების ლომჯარიების ბინაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ის საცხოვრებლად გადავიდა ი. დარახველიძის ბინაში, სადაც 1902 წლის 5 აპრილს ბათუმის ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფის სხდომაზე ამხანაგი სტალინი დაპატიმრეს დ. დარახველიძესთან და სხვა მუშებთან ერთად და მოათავსეს ბათუმის საპატიმროში.

ს. ლომჯარიას სახლი ბათუმში, სადაც 1901 წლის 31 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია, რომელმაც გამოჰყო ხელმძღვანელი პარტიული ჯგუფი ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

მხატვარ ილუშინის სურათიდან

ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ

რამდენი პოლიტიკური კონფლიქტებისა და გრანდიოზული დემონსტრაციების მომსწრეა ყოფილი როტშილდის ქარხანა!

აქ, სწორედ აქ, „ფხიზელი“ პოლიციელის საგუშაგოზე გააკრეს რევოლუციონერმა მუშებმა სტალინის ხელით დაწერილი პროკლამაცია. როგორ დასცინოდნენ როტშილდის მუშები ცარიზმის გამოთაყვანებულ ქურუმებს!

აი ამ ქარხანაში 1902 წლის 27 თებერვალს დილით ადმინისტრაციამ გამოაცხადა სია დათხოვნილი მუშებისა.

დათხოვნილი 389 მუშიდან უმრავლესობას შეადგენდნენ სოციალ-დემოკრატიული წრის წევრები. მუშებმა წარუდგინეს ადმინისტრაციას მოთხოვნა დათხოვნილ მუშების აღდგენის შესახებ, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. მუშებმა დასტოვეს სამუშაო და გამოაცხადეს გაფიცვა. იმ დროს ამხანაგი სტალინი თბილისში იყო წასული. ჩამოსვლისთანავე ამხანაგი სტალინი სათავეში ჩაუდგა გაფიცვას; მან შეადგინა მოთხოვნები, რომლებიც გაფიცულებს უნდა წარედგინათ ადმინისტრაციისათვის. ამხანაგი სტალინი აძლევდა მუშებს მითითებებს, როგორ განეგრძოთ პოლიტიკური ბრძოლა.

როგორც ცნობილია, ამხანაგ სტალინის მეთაურობით 1902 წლის 8 მარტს მოეწყო მუშათა მასობრივი მანიფესტაცია, დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლების მიზნით. მოხდა კიდევ უარესი. პოლიციამ დააპატიმრა 300 მანიფესტანტი მუშა.

ამ ამბების საპასუხოდ მეორე დღეს, 9 მარტს, ამხანაგმა სტალინმა მოაწყო ბათუმის მთელი რიგი საწარმოების მუშათა 6000-იანი დემონსტრაცია.

ამ დემონსტრაციაში უშუალო მონაწილეობას იღებდა ამხანაგი სტალინი.

დაღუპული ამხანაგების დაკრძალვა ახალ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბათუმელ მუშებს სტალინური პროკლამაცია შემდეგი სიტყვებით მიმართავდა:

„რით სურს მთავრობას დაგვაჩუმოს ჩვენ? ძალმომრეობით? რით სურს გაუმასპინძლდეს ჩვენს სიმშილს? ტყვიით? არა, ვერ გაგვაჩუმებს ჩვენ მისი ხიშტები, ვერ დაახშობს მისი სიმკაცრე ჩვენში თავისუფლების მოყვარულობას. გავმხნევდეთ, ძმებო, სიმართლე ჩვენსკენაა, ჩვენი ძალა ჩვენშია და ჩვენი კეთილდღეობაც ჩვენზეა დამოკიდებული...

არ დაგვავიწყდეს, რომ „ბრძოლას გაგრძელება“ უნდა და მამაცობაც ახლაა საჭირო, ამიტომ ერთად ვეტაკნეთ ჩვენს მტერს და ერთადვე გამარჯვებულნი დავბრუნდეთ ბრძოლის ველიდან. „ასე ვიბრძოლოთ, მანამდის ხმა ჩვენი ყველას მისწვდება, სანამდის მუშათ მკლავები ბრძოლისთვის გამოიწრთობა“.

★

ბათუმის ბოლშევიკების ორგანიზაციას სახელოვანი და წარმტაცი წარსული აქვს. 37 წლის წინათ აქ ამხანაგი სტალინი აყალიბებდა და აწრთობდა პირველ სოციალ - დემოკრატიულ ლენინურ-ისკრული მიმართულების ორგანიზაციას, ზრდიდა და რაზმავდა მუშებს ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის.

ისტორიული ადგილები, სადაც ცხოვრობდა და უდიდეს რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ამხანაგი სტალინი, ბოლშევიზმის დიადი გმირული წარსულის უძვირფასეს კერებს წარმოადგენენ. ისინი ცოცხლად და მიმზიდველად მოგვითხრობენ იმ შესანიშნავ მოვლენებზე, რომლებიც ვითარდებოდა ბათუმში 1901-05 წლებში.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან უამრავი ხალხი მიდის ბათუმში იმისათვის, რომ ინახულონ ადგილები, სადაც მოღვაწეობდა დიდი სტალინი მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე, იმისათვის, რომ გაეცნონ დოკუმენტებს იმ დიადი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ვინც პირველმა მოაწყო ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, ვინც პირველმა აამოძრავა ბათუმის მუშები თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისათვის, ვინც ბოლშევიზმის მგზნებარე სიტყვებით მოუწოდებდა მუშათა მასებს ახალი ცხოვრებისაკენ, ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ვ. დეევაძე
ვ. მამალაძე

ქ. ბათუმი.

გერმანია-იტალიის სამხედრო კავშირი და მზადება ომისათვის

გერმანიასა და იტალიას შორის სამხედრო კავშირის დადებასთან დაკავშირებით, გერმანიის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე სახელმწიფო, ომისათვის მზადების მიზნით, ურთიერთშორის მჭიდრო კავშირს დაამყარებს ეკონომიურ დარგში. გერმანული ეკონომიური გაზეთი „დოიჩე ბერგვერკს-ცაიტუნგი“ მოგვაგონებს, რომ ამ უკანასკნელ ხანს ორივე სახელმწიფო გაძლიერებულ ეკონომიურ მზადებას ეწეოდა ომისათვის. მიუხედავად ამისა, გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ სტრატეგიული ნედლეულისა და სურსათის უმნიშვნელოვანეს სახეთა მხრივ გერმანია და იტალია უდიდესი სიძნელეების წინაშე დგანან.

როგორც ვიცით, გერმანია ცხიმების უდიდეს ნაკლებობას განიცდის ჯერ კიდევ მშვიდობიანობის დროს. გაზეთი იძულებულია აღიაროს, რომ იტალია უდიდეს სიძნელეებს განიცდის ხორცით მოსახლეობის მომარაგების საქმეში. იტალია იძულებულია ყოველწლიურად შეზიდოს დაახლოებით 700 ათასი ორმაგი ცენტნერი ხორცი.

შემდეგ „დოიჩე ბერგვერკს-ცაიტუნგი“ აცხადებს, რომ, მიუხედავად სუროგატების წარმოების განვითარებისა, სტრატეგიული ნედლეულის მხრივ ორივე ქვეყანა დიდ სიძნელეებს განიცდის. 1938 წელს იტალიამ სულ 2 მილიონი ტონა ქვანახშირი და მურანახშირი მოიპოვა, ხოლო დაახლოებით 12 მილიონი ტონა შეიტანა. იტალია დიდ სიძნელეებს განიცდის აგრეთვე საწვავი მასალის მხრივ. გაზეთის სიტყვით, იტალიას იმედი აქვს ეს სიძნელეები ალბანეთის ნავთის გადამუშავებით შეამციროს. ეს ამეღავნებს ერთერთ ჭეშმარიტ მიზეზს იმისას, თუ რატომ დაიპყრო იტალიამ ალბანეთი.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ ორივე ფაშისტური სახელმწიფო განახორციელებს მჭიდრო ეკონომიურ თანამშრომლობას. გერმანია იტალიაში შეზიდავს უფრო მეტ ქვანახშირს, ქიმიურ პროდუქტებს, მანქანებსა და სხვ. იტალია გერმანიას მიაწვდის საქონელს თავისი კოლონიური სამფლობელოებიდან. (საკდესი).

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის და ტექნიკუმის მსმენელები ემზადებიან ფიზკულტურელთა პარადისათვის.

ფოტო რ. აკოფოვისა.

პოლონეთის პრესა გერმანიაში ჩასაფარებელი აღწერის შესახებ

ვარშავა, 16 მაისი (საკდესი). მთელი პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იმ აღწერას, რომელიც ხვალ უნდა ჩატარდეს გერმანიაში. გაზეთები განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ეროვნების“ სვეტის შემოღება სააღწერო ფურცელში მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, პოლონეთის უმცირესობის წინააღმდეგ გერმანიაში.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გერმანიის ყველა რაიონში, რომელიც პოლონეთს ეკვრის, ვრცელდება დიდძალი ფაშისტური ლიტერატურა. ეს ლიტერატურა პოლონელ მოსახლეობას მოუწოდებს განცხადება შეიტანონ იმის შესახებ, რომ ისინი გერმანელ ეროვნებას ეკუთვნიან. გერმანიის სოლეზიაში პოლონელებს წინადადება ეძლევათ აღნიშნონ ანკეტებში, რომ მათს დედა-ენას „ზემო სილეზიის დიალექტი“ შეადგენს. ანალოგიურ პროპაგანდას აწარმოებენ აგრეთვე გერმანიის რადიოსადგურები.

მთავრობის „გაზეტა პოლსკა“ სწერს, რომ გერმანიის ხელისუფალთ არასგზით არ შეუძლიათ დაეთანხმონ იმ ფაქტს, რომ გერმანიაში არსებობს პოლონელთა მილიონნახევარი მასა და ამიტომ ისინი მუქარისა და სტატისტიკური მაქინაციების საშუალებით ცდილობენ საქმე ისე მოგვაჩვენონ, თითქოს პოლონელთა რიცხვი გერმანიაში 100-120 ათას კაცს არ აღემატება. ამასთან ერთად, გერმანიის ოფიციალური სტატისტიკით, პოლონეთში 1.140 ათასი გერმანელი ირიცხება. ამნაირად, აცხადებს გაზეთი, გერმანიის მანევრის მიზანი სრულიად ნათელი ხდება. გერმანიას განზრახული აქვს მოსთხოვოს პოლონეთის მთავრობას უზრუნველჰყოს გერმანელი უმცირესობის უფლებანი პოლონეთში და ამავე დროს უარჰყოს თანასწორუფლებიანობისა და სამაგიერობის პრინციპი პოლონელი უმცირესობის უფლებათა უზრუნველსაყოფად გერმანიაში.

ჰიტლერის გამგზავრება ლუქსემბურგის საზღვარზე

ბერლინი, 16 მაისი (საკდესი). გუშინ ჰიტლერმა გენერალური შტაბის უფროსის კაიტელისა და მთელი რიგი სხვა გენერლების თანხლებით დაათვალიერა გერმანიის სამხედრო სიმაგრეები ლუქსემბურგის საზღვრის გასწვრივ. გუშინ ჰიტლერის თანდასწრებით ჩატარდა სამხედრო ვარჯიშობა. ღღეს ჰიტლერი და მისი მხლებელნი ჩავიდნენ საარის ოლქში, სადაც გუშინ საღამოს მივიდა აგრეთვე გერმანიის არმიის მთავარსარდალი ბრაუხიჩი. ფაშისტ ხელმძღვანელების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში გენერალმა ბრაუხიჩმა ხაზგასმით აღნიშნა სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა გერმანიის სიმაგრეებისა საფრანგეთის საზღვრის გასწვრივ.

გერმანიის არმიიდან გარბიან

ვარშავა, 16 მაისი (საკდესი). გაზეთი „პოლონია“ იუწყება, რომ უსაცეს (პოზნანის სავოევოდო) რაიონში რაიხსვერის 6 ჯარისკაცმა გადმოლახა გერმანიის საზღვარი და პოლონელ ხელისუფალთ დანებდა. გერმანელმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ოფიცრების, არაადამიანურმა მოპყრობამ და საძაგელმა კვებამ აიძულა ისინი გამოქცეულიყვნენ.

აღბანეთის მეფის წერილი ერთა ლიგისადმი

პარიზი, 16 მაისი (საკდესი). ალბანეთის მეფემ ზოგუმ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს მიმართა წერილით, სადაც იგი პროტესტს აცხადებს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც ალბანეთისადმი გამოიჩინეს.

ეს წერილი გამოწვეულია ალბანეთის მეფის სურვილით, რათა ერთა ლიგის საბჭოს მომავალ სესიაზე დასმულ იქნას საკითხი იტალიის მიერ ალბანეთის დაპყრობის შესახებ.

ესპანეთის ფაშისტი ხელისუფალნი სიმაგრეებს აგებენ გიბრალტარის მახლობლად

ლონდონი, 16 მაისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: გუშინ ესპანეთის საზღვარსა და გიბრალტარს შორის მდებარე ნეიტრალურ ზონაში, გიბრალტარიდან ნახევარ მილზე, ესპანეთის ფაშისტურმა ხელისუფლებამ სიმაგრეების აგება დაიწყო. ამ სამუშაოსათვის დაპატიმრებულ რესპუბლიკელებსაც იყენებენო.

„დეილი ექსპრესის“ ცნობით, ესპანეთის ფაშისტური ხელისუფლების მოქმედება შეშფოთებას იწვევს გიბრალტარში.

ჰიტლერი ჰარიზში ჩავა

პარიზი, 16 მაისი (საკდესი). ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰალიფაქსი, რომელიც ჟენევაში მიემგზავრება ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე, 20 მაისს გაივლის პარიზში, სადაც რამდენიმე საათს დაჰყოფს. პარიზში ყოფნის დროს ლორდი ჰალიფაქსი ითათბირებს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ დალადიესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ ბონესთან.

დე ბრუკერის განთავისუფლება II ინტერნაციონალის თავმჯდომარის პოსტიდან

ბრიუსელი, 16 მაისი (საკდესი). მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომმა, რომელსაც სხდომა ჰქონდა ბრიუსელში, დაადასტურა დე ბრუკერის თხოვნა მე-2 ინტერნაციონალის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ, იმასთან დაკავშირებით, რომ მას 70 წელი შეუსრულდა. მე-2 ინტერნაციონალის თავმჯდომარედ არჩეულია ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატების საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელი ალბარდა.

სამხედრო ქონების გაგზავნა საფრანგეთიდან ესპანეთში

პარიზი, 16 მაისი (საკდესი). გაზეთი „ტანი“ იუწყება, რომ საფრანგეთსა და ესპანეთის ფაშისტურ ხელისუფლებას შორის დადებული თებერვლის შეთანხმების შესასრულებლად დაიწყო იმ სამხედრო ქონების გადაცემა გენერალ ფრანკოსათვის, რომელიც ესპანეთის რესპუბლიკის ჯარმა გადმოიტანა საფრანგეთის ტერიტორიაზე.

ამ დღეებში სერბერიდან ესპანეთში გავიდა პირველი ეშელონი, დატვირთული რამდენიმე მძიმე ქვემეხით. კატალონიაში გაიგზავნა აგრეთვე მატარებელთა ცარიელი შედგენილობა, რომელიც სერბერის სადგურზე იყო.

სამხედრო მასალების გაგზავნას რამდენიმე დღე დასჭირდება, ამასთან ესპანეთში ყოველდღე გაიგზავნება რკინიგზის რამდენიმე ეშელონი თვითეული 30-40 ვაგონის შემადგენლობით.

ლითონის შიმშილი იაპონიაში

ტოკიო, 16 მაისი (საკდესი). თუ რამდენად აუძლურებს იაპონიის ეკონომიკას ჩინეთში წარმოებული ომი, ამას მოწმობს ტოკიოს ხელისუფალთა გადაწყვეტილება სკოლებსა და კანცელარიებში ლითონის ისეთი საგნების ხმარების აღკვეთის შესახებ, როგორიცაა: საფერფლე, ღუმელი, საფურთხებელი, ფანჯრის ფარდის რკინის წკეპლა, გაზის გათების სვეტი, წყლის თუჯის ტუმბო, უწვი კარადა, ნაგვის რკინის ყუთი, ძველი საწერი მანქანა და სხვ. უახლოეს ხანში ყველა ვაჭარს წინადადება მიეცემა, მაღაზიების ვიტრინებში გამოფენილი ლითონის ნაწარმი ხაზინას ჩააბარონ.

კასპშიცკის მიღება პარიზში

ვარშავა, 16 მაისი (საკდესი). გაზეთი „კურიერ ვარშავსკი“ იუწყება, რომ პარიზში ჩასული პოლონეთის სამხედრო მინისტრის კასპშიცკის პატივსაცემად გუშინ გაიმართა საუზმე, რომელსაც დესწრნენ საფრანგეთის პრეზიდენტი დალადიე, გენერალი გამელენი და საფრანგეთის არმიის მთელი რიგი სხვა ხელმძღვანელები. გუშინვე კასპშიცკის პირველი საუბარი ჰქონდა გენერალ გამელენთან საფრანგეთის გენერალურ შტაბში. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საფრანგეთის პოლიტიკური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ კასპშიცკის მოლაპარაკებას პარიზში.

კანადის მთავრობის პროგესი

„ფინანშიელ ნიუსი“ იუწყება, რომ კანადის მთავრობამ პროტესტი მიმართა ინგლისის მთავრობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქონელთცვლის შეთანხმების დადების პროექტის გამო. კანადის მთავრობა შიშობს, რომ განზრახული შეთანხმება სერიოზულ ზარალს მიაყენებს კანადიდან ხორბლის გაზიდვის საქმეს. (საკდესი).

ფონ პაპენი ბერლინს გაიწვევს

ლონდონი, 16 მაისი (საკდესი). გაზეთები ყურადღებას აქცევენ იმას, რომ გერმანიის ელჩი თურქეთში პაპენი, რომელმაც თურქეთის დედაქალაქში მხოლოდ სამი კვირა დაჰყო, ბერლინს გაიწვევს.

შრომითი ბეგარა ესპანეთში

ლონდონი, 16 მაისი (საკდესი). ესპანეთის მთავრობამ გამოსცა კანონი 18-50 წლის ასაკის ყველა მამაკაცთათვის შრომითი ბეგარის შემოღების შესახებ.

რეზერვების შექმნა ინგლისში

ლონდონი, 16 მაისი (საკდესი). ღღეს ლონდონში გამოქვეყნდა დამატებითი ხარჯთაღრიცხვა 3.350 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით, რომლითაც გათვალისწინებულია სავაჭრო გემებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესყიდვა. სავაჭრო გემების შესასყიდად გადადებულია 2.100 ათასი გირვანქა სტერლინგი, ხოლო ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესასყიდად — 1.250 ათასი გირვანქა სტერლინგი.

ხარჯთაღრიცხვას დართული აქვს განმარტებითი ბარათი, სადაც ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა, შეისყიდოს სავაჭრო გემები და შეჰქმნას ტრაქტორთა სარეზერვო პარკი და სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი საერთაშორისო არაჩვეულებრივ გართულებათა შემთხვევისათვის.

საომარი მოქმედება ჩინეთში

(საკდესის ჩუნცინელი, ლონდონელი და შანხაელი კორესპონდენტების ცნობათა მიხედვით)

ცენტრალურ ჩინეთში

ძიანსის პროვინციაში ჩინეთის ჯარმა იაპონელთა ყველა იერიში მოიგერია; იაპონელებს 100-ზე მეტი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს.

ხუბეის პროვინციაში ორი დღის ბრძოლის შემდეგ ჩინეთის ჯარმა იაპონელები განდევნა ვამიაოძიდან, 20 კილომეტრზე ტიანმინის ჩრდილო-დასავლეთით.

ხენანის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარმა იაპონელები განდევნა ქალაქ ტანხედან.

13 მაისს იაპონელთა დიდმა რაზმმა შესძლო შეჭრილიყო ქალაქ სინიეს გარეუბნებში. ქ. სინიე მდებარეობს ხენანის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მაგრამ დასახმარებლად მოსული ჩინეთის ჯარის ნაწილები გარს შემოერტყნენ იაპონელებს. ქალაქის ახლოს ბრძოლა სწარმოებს.

სამხრეთ ჩინეთში

14 მაისს ჩინელთა თვითმფრინავებმა გაძლიერებით დაუშინეს ყუმბარები იაპონელთა სამხედრო საწყობებს კანტონის ჩრდილო ნაწილში. დანგრეულია ამუნიციის რამდენიმე საწყობი. ჩინელთა თვითმფრინავები მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ბაზაზე. 14 და 15 მაისს იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს სვატოუს (გუანდუნის პროვინცია). დანგრეულია სახლები. მოკლეული და დაჭრილია 26 მშვიდობიანი მცხოვრები.

ბ ო მ ა რ შ ე

გარდაცვალებიდან 140 წლისთავისათვის

ბომარშეს სახელთან დაკავშირებულია მსოფლიო თეატრის ისტორიაში ერთერთი უთვალსაჩინოესი და უბრწყინვალესი ფურცელი. მისი ცნობილი კომედია „ფიგაროს ქორწინება“, რომელიც დაიდგა საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის ხუთი წლის წინ, ნაპოლეონის მოხდენილი გამოთქმით, იყო „რევოლუცია უკვე მოქმედებაში“.

პიერ-ოგიუსტენ კარონი, რომელმაც დაქორწინების შემდეგ მიიღო გვარი ბომარშე, გამოსული იყო „შესამე წოდებიდან“. იგი დაიბადა 1732 წელს პარიზში, მესაათის ოჯახში. 13 წლისა იყო ის, მამამ რომ სკოლიდან გამოიყვანა, რათა შეეწყვიტლებინა მისთვის თავისი ხელობა.

1755 წელს ბომარშე უკვე უწოდებს თავის თავს „მეფის მესაათეს“ და იწყებს კარიერას მეფის კარზე.

მალე ბომარშემ, რომელიც გატაცებული იყო მუსიკითა და პოეზიით, გადასწყვიტა მოეპოვებინა დრამატურგის სახელი. დაინტერესებული იყო რა მეშრახური დრამის ჟანრით, მან დაწერა პიესა „ევგენი“, მაგრამ ამ პიესას წარმატება არ ჰქონდა, ისევე, როგორც მეორე პიესას „ორი მეგობარი“, რომელიც მას მოჰყვა.

ბომარშეს ცხოვრებასა და შემოქმედებაში მობრუნების პუნქტს წარმოადგენდა სასამართლო პროცესი, რომელიც გამოწვეული იყო მისი კომპანიონის — ბანკირ პარი-დიუვერნეს ანდერძით. ძველი რეჟიმის სასამართლომ, რომელიც მოსყიდული იყო დიუვერნეს მემკვიდრის მიერ, უარი უთხრა ბომარშეს მისთვის ნაანდერძევი თანხების მიცემაში. ბომარშემ გადასწყვიტა მიემართნა საზოგადოებრივი აზრისათვის და დაიწყო სასამართლოს წინააღმდეგ კამპანია პრესის საშუალებით. მან დაიწყო „მრეველი გეზმანის წინააღმდეგ მემუარების“ გამოშვება, სადაც თავისი სასამართლო პროცესის ქრონიკა მოიყვანა მწვავე კომიკური, პამფლეტური სტილით, რომელმაც ამხილა მაშინდელი საფრანგეთის სასამართლო და ადმინისტრატიული აპარატის ყველა ნაკლოვანებები.

აუწერელი იყო ის ენტუზიაზმი, რომელიც მკითხველებში გამოიწვია ბომარშეს ჰამფლეტმა. მას უაღრესად დადებითი შეფასება მისცა ვოლტერმა.

ბომარშეს „მემუარების“ გიგანტური წარმატების საიდუმლოება მდგომარეობდა იმაში, რომ მან შესძლო თავისი კერძო საქმის გადატანა საზოგადოებრივ ნიადაგზე და მისთვის პრინციპული პოლიტიკური ინტერესის მიცემა. სწორედ „მემუარებმა“ მოამზადეს ბომარშეს გადასვლა მისი ადრეული აპოლიტიკური მეშრახური დრამებიდან განთქმულ სატირულ კომედიებზე.

ბომარშეს „სევილიელი დალაქი“ (1755) იყო ბურჟუაზიულ-რევოლუციური კომედიის ახალი ჟანრის პირველი ნიმუში.

ბომარშემ აიღო ძველი ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ წაართვა თავქარიანმა ახალგაზრდამ ხნიერ ეჭვიან მეურვეს ქალიშვილი, რომელიც მას მოეწონა, მოხერხებული ფიგაროს დახმარებით, რომელიც ათასგვარ ინებს მიმართავს. ამ ამბავს, რომელიც მრავალჯერ იყო დამუშავებული იტალიაში, ესპანეთსა და საფრანგეთში, ბომარშემ ახალი სოციალური ელფერი მისცა.

კომედიის არსებითი სიახლე მდგომარეობდა მისი მთავარი გმირის ფიგაროს გამოხატვაში. ბომარშე ხატავს მას, როგორც გონიერ და მოხერხებულ პლებეის. ფიგარო ყოჩაღია, გაბედული, ცინიკური და მეტად მოძრავი, როგორც თვითონ ბომარშე. იგი ყოველ ნაბიჯზე გესლიანად დასცინის ძველი რეჟიმის საზოგადოებას.

„სევილიელი დალაქის“ უდიდესმა წარმატებამ მოაფიქრებინა ბომარშეს განეგრძო ეს კომედია, შეექმნა მეორე პიესა იმავე მთავარი პერსონაჟებით. ასე წარმოიშვა ცნობილი „ფიგაროს ქორწინება“.

„ფიგაროს ქორწინება“ მსოფლიო რეპერტუარის ერთერთი უმნიშვნელესი პიესაა. იგი სავსეა სასაცილო გაუგებრობებით, ხლართებით, ოხუნჯობით და გაბედული მახვილი სიტყვებით. ბუფონადა „ფიგაროს ქორწინება“ გატენილია დინამიტით. იგი მიზნად ისახავს ცხოვრების მაშინდელი ბატონ-პატრონების, გრაფ ალმავივას ტიპის ფეოდალების დისკრედიტაციას. გვიჩვენა რა არისტოკრატ დამცირებულად, სასაცილოდ, ბომარშემ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა სათავადაზნაურო თეატრს, რომელშიც მეფეებსა და არისტოკრატებს ჩვეულებრივად გამოხატავდნენ ხოლმე სერიოზულად, თანაგრძნობით, ხოლო ქალაქელებსა და გლეხებს—კომიკურად.

ინტრიგანი - ავანტურისტიდან ფიგარო აქ გადაიქცევა ფეოდალური წესწყობილების მშფოთვარე მამხილებლად. იბრძვის რა თავისი უფლებებისათვის, ფიგარო უკვე ხვდება, რომ იგი ებრძვის არა ერთ არისტოკრატს, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელ სისტემას. ამ სისტემას იგი თავს ესხმის უდიდესი გამბედაობით, გამოსთქვამს რა იმას, რასაც გრძნობდნენ ათასობით მისი მსგავსი ადამიანები რევოლუციის წინ.

ფიგარო იბრძვის ფეოდალური უფლებებისა და პრივილეგიების წინააღმდეგ, იგი ამხელს უპატიოსნო ფავორიტებს, მსუნაგ კარისკაცებს, მექრთამე მოსამართლეებს, უსირცხვილო ვექილებს, თვითკმაყოფილ დიპლომატებს.

ეველ რეჟიმზე შეტევის კულმინაციურ წერტილს ფიგარო აღწევს მეხუთე მოქმედების ცნობილ მონოლოგში. ფიგარო აქ სახალხო ტრიბუნის გმირული თვისებებით გვევლინება. მისი სიტყვა აღსავსეა ოქროსავითა ფიფოთებით.

ფიგაროს მონოლოგი ბრწყინვალე საბრალდებო აქტია მართვა-გამგეობის ფეოდალური სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც ახასიათებდა უკანონობის, თვითნებობისა და ძალადობის ბატონობა. ამ სისტემასთან შერიგება არ სურდა „მესამე წოდებას“, რომელმაც შეიცნო თავისი უფლებები. აღწევს რა ამ სიმაღლეს თავის მამხილებელ პათოსში, ბომარშეს კომედია უკვე იწყებს წმინდა რევოლუციური დრამატურგიის ხასიათ.

მაგრამ რევოლუციური პუბლიცისტიკით არ ამოიწურება „ფიგაროს ქორწინების“ შინაარსი. კომედიის აქვს მეტად რთული და საინტერესო ინტრიგა. მასში გადაჯვარედინებულია რამდენიმე სასიუჟეტო ხაზი და გადახლართულია სხვადასხვა ყანრის (ფარსის, ინტრიგის კომედიის, საყოფაცხოვრებო კომედიის, მეშრახური დრამის) ელემენტები. ყოველივე ეს წარმოშობს კომედიის არაჩვეულებრივ სიხალვარეს.

ბომარშემ გადაიტანა განსაკუთრებით ხანგრძლივი და მტკიცე ბრძოლა თავისი კომედიის დადგმისათვის. სიჯიუტე ცენზურისა, რომელიც კრძალავდა კომედიას, აძლიერებდა მაყურებელთა ცნობისმოყვარეობას, რასაც ბომარშე მისთვის მისაწვდომი ყველა საშუალებით აღვივებდა. კომედიის არაჩვეულებრივი წარმატება ჰქონდა. თვითეული ფრაზა, რომელშიც გამოსჭვივოდა პოლიტიკური აზრი, მაყურებელთა დემონსტრატიულ ტაშს იწვევდა.

მიაღწია რა დიდების მწვერვალს, ბახდა რა თანამედროვეობის გმირი, ბომარშემ არ დასტოვა კომერციული ოპერაციები და პოლიტიკური ინტრიგები, რომლებსაც იგი ეწეოდა მთელ თავის სიცოცხლეში. ბომარშეს საქმიანობა ნაკლებად შეესაბამებოდა იმ მაღალ პოლიტიკურ რეპუტაციას, რომელიც მას „ფიგაროს ქორწინებამ“ მოუპოვა. მან ვერ შესძლო რევოლუციის წლებში დაეჭირა სათანადო ადგილი, მას შეეშინდა რევოლუციისა, როდესაც ინიციატივა მასების ხელში გადავიდა. ბომარშეს მიერ რევოლუციურ იდეალებზე ხელის აღებამ გამოიწვია ის, რომ მან დაჭკარგა მხატვრობის უნარი. გარდაიცვალა იგი, ყველასაგან დავიწყებული, 1799 წელს.

მაგრამ ბომარშეს ვერც სამწუხარო ბოლო, ვერც მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი არასასიამოვნო წვრილმანი ვერ შეასუსტებენ ბომარშეს საუკეთესო ქმნილებათა მნიშვნელობას. საბჭოთა ხალხი იცნობს და აფასებს ბომარშეს როგორც პოლიტიკური, ბურჟუაზიულ-რევოლუციური კომედიის უდიდეს ოსტატს, რომელმაც მოგვცა სისხლჭარბი რეალისტური შემოქმედების ძვირფასი ნიმუში ხალხურ-კომიკური თეატრის საუკეთესო ტრადიციების საფუძველზე.

პროფესორი ხ. ნ. მოკულსკი

36 ახალი მოსახლე

ფოთი (საკ. კორ.). 12 მაისს 36 ახალი მოსახლე შემატა კოლხიდას. ჭიათურის რაიონის კაცხის, ითხვისის და რგანის სასოფლო საბჭოებში შემავალი სოფლებიდან სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა 18 ოჯახი, გეგეჭკორის რაიონიდან—10, ჩხოროწყუდან—3 და საქართველოს სხვა რაიონებიდან—5.

12 მაისს სოფ. პატარა ფოთში, სადაც ხდება მათი დასახლება, შესდგა ახალმოსახლეთა საზეიმო შეხვედრა პარტიის საქალაქო კომიტეტის, ქალაქის საბჭოს, კოლხიდმშენისა და სხვა საბჭოთა ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან.

იმავე დღეს ახალმოსახლეებმა ჩაიბარეს მათთვის აშენებული ახალი ოდა-სახლები საკარმიდამო ნაკვეთებით. ზოგიერთი მათგანი წინასწარ ჩამოსული და დაუმუშავებია თავისთვის განკუთვნილი საკარმიდამო მიწა, დაურგავს ლიმონი, მანდარინი და სხვ. ფოთის მიწგანის მიერ ახალ მოსახლეთათვის გამოყოფილია ციტრუსოვანთა ნერგების საკმაო რაოდენობა.

ზ. მელიქია

ღღეს სპადიონზე

ღღეს ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგება მოსკოვის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე.

„ტორპედო“ მოსკოვის ამხანაგ სტალინის სახელობის ავტომარხნის ფეხბურთელთა გუნდია. გასულ წელს გუნდი დიდი წარმატებით გამოდიოდა პარიზში მუშათა კავშირების საერთაშორისო შეჯიბრებაზე, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მიიღო სპატარი თასი.

„ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის წარჩინება 1936 წლიდან იწყება. ამ წელს მათ მეორე ადგილი დაიკავეს „ბ“ ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებში (პირველ ადგილზე თბილისის „დინამო“ გამოვიდა). 1938 წელს სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში „ტორპედომ“ დაამარცხა ისეთი ძლიერი გუნდები, როგორიც არიან „მეტალურგი“, კიევის „დინამო“ და სსრ კავშირის ფალავანი მოსკოვის „სპარტაკი“. თბილისის „დინამოს“ „ტორპედოს“ ფეხბურთელები შეხვდნენ საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ. ეს მატჩი ყველაზე საინტერესოდ არის ცნობილი 1938 წლის სეზონში. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ (3:3).

ღღეს „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი თავისი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს. მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევს.

თბილისის გუნდში ითამაშებენ: დოროხოვი, შავგულიძე, გაგუა, ჯორბენაძე, ფროლოვი, კიკნაძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ჯორჯიკია და ხარებია.

ფეხბურთი

1 : 0

გუშინ ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა კიევისა და თბილისის „ლოკომოტივის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩი სსრკ პირველობაზე.

ორივე გუნდმა თამაში პასიურად დაიწყო. ამის გამო ბურთი უმთავრესად სტადიონის ცენტრში ტრიალებდა: ერთადერთი ბურთის გატანა მხოლოდ პირველი ტაიმის მე-26 წუთზე მოხერხდა. თბილისელმა პანიუკოვმა სტუმრების საჯარიმო მოედანზე სახიფათო მომენტი შეჰქმნა. კიევის გუნდის ერთერთი მცველი ხელით შეეხო ბურთს. მსაჯმა კიევის ფეხბურთელები „პენალტით“ დაჯაჯარიმა და კიხწურაშვილმა შესძლო ბურთის გატანა. ამის შემდეგ სტუმრებმა უხეშ თამაშს მიჰყვეს ხელი. შეჯიბრებამ დაჰკარგა სპორტული ინტერესი. თამაშის დამთავრებამდე კიეველებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შეჰქმნეს თბილისელების კართან, მაგრამ მეკარე შუდრას კარგი თამაშის გამო მათი ცდები უნაყოფო დარჩა.

მატჩი თბილისელების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 1 : 0.

„გენერალური კონსული“ ქუთაისის თეატრში

ქუთაისის თეატრი მორიგ პრემიერად ამზადებს ძმ. ტურებისა და შეინინის პიესას „გენერალური კონსული“ (თარგმანი შ. ალხაზიშვილისა). პიესას დგამს რეჟ. გრ. სულიაშვილი, მხატვრობა კ. სანაძისაა, მუსიკა—თ. ვახვახიშვილისა. მთავარ როლებს ასრულებენ: ღვინიაშვილი, ვაჩნაძე, გვენცაძე, ხვიჩია, კიხწურაშვილი, ტატიშვილი და სხვ.

პრემიერა ნაჩვენები იქნება 22 მაისს. სეზონის დახურვის წინ თეატრი დადგამს ვ. გაბესკირიას „მათ ამბავს“.

ეკატერინე სოხაძის შემოქმედებითი საღამო

19 მაისს, საღამოს 10 საათზე, ხელოვნების ოსტატთა კლუბში (მახარაძის ქ. № 8) გაიმართება დამსახურებული არტისტის, ორდენოსან ეკატერინე სოხაძის შემოქმედებითი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის სსრკ სახალხო არტისტი აკ. ვასაძე. მოხსენებისა და სიტყვების შემდეგ გაიმართება დიდი კონცერტი.

დრამაგზურგთა თათბირი

19 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს საბჭოთა მწერლების კლუბში მწერალთა კავშირის დრამსექცია იწვევს დრამატურგების, თეატრისა და კინოს შემოქმედებითი მუშაკების თათბირს, რომელზეც ამხ. ბ. ელინტი გააკეთებს მოხსენებას თემაზე: „საბჭოთა დრამატურგიის შემოქმედებითი საკითხები“.

ტ. კეცხოველის სახელობის პიონერთა სახლში

ტ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი 19 მაისს **ლენინის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში** აწყობს ამხ. **აპ. ნუცუბიძის** ლექციას თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკა. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში— ამხ. **სეიდოვის** ლექციას თემაზე: მშრომელთა კომუნისტური აღზრდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანაა. აზერბაიჯანულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკაბინეტი

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს სტეფანე აბრამს-ძე ღარიბოვს 3 დღის ვადაში გამოცხადდეს პარტკოლეგიაში ამხ. გეგორქიანთან (პერეთინსკის, 8, მეორე სართული, ოთახი 14).

○

საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიონული კომიტეტი წინადადებას აძლევს ნიკოლოზ სიმონის-ძე უმეკაშვილს და ილია ვასილის-ძე გერმანოზაშვილს სასწრაფოდ გამოცხადდნენ გორის პარტრაიკომში.

○

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქის კომიტეტი აცხადებს, რომ საკანდიდატო ბარათები: № 0717002, გაცემული ფოთის ქალაქკომის მიერ 1936 წლის 26 ივნისს ამხ. სოფიო ავალეს-ასულ მაჭავარიანის სახელზე, და № 0716988, გაცემული სამსონ ნესტორის-ძე გოგოლის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომი აცხადებს, რომ 1936 წლის ნიმუშის პარტბილეთი № 1514404, გაცემული არსენ ევგენის-ძე მიქაველ სახელზე, 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 0710687, გაცემული აკაკი ალექსის-ძე წიწვავას სახელზე, და 1936 წლის ნიმუშის საკანდიდატო ბარათი № 1667784, გაცემული ამხ. ქსენინ ნესტორის-ასულ ჩიკვატაიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

19 მაისს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის სხდომათა დარბაზში (შაუმიანის, № 1) მოწვეულია

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის მორიგი პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით:

რაიონში თავდაცვითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

რაიკომის მდივანი ვ. სიხარულიძე

**რუ